რატომ მიდიან ქალები?

ქალთა მიგრაციის გამომწვევი მიზეზების გენდერული განზომილება უფლებრივი მდგომარეობის, სოციალური ფაქტორებისა და ინტერსექციური მოწყვლადობის ჭრილში

საქველმოქმედო ჰუმანიტარული ქალთა ფონდი „სოხუმის"

კვლევის ანგარიში

2025

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა საერთაშორისო ორგანიზაცია - „პური მსოფლიოსთვის" მხარდაჭერით.
კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ქალთა ფონდ „სოხუმს“ და, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის პოზიციას.

რატომ მიდიან ქალები?

ქალთა მიგრაციის გამომწვევი მიზეზების გენდერული განზომილება უფლებრივი მდგომარეობის, სოციალური ფაქტორებისა და ინტერსექციური მოწყვლადობის ჭრილში

საქველმოქმედო ჰუმანიტარული ქალთა ფონდი „სოხუმის" კვლევის ანგარიში

სარჩევი

კვლევის შედეგების მოკლე მიმოხილვა 3

შესავალი 6

კვლევის ძირითადი მიგნებები 9

თავი I. ქალების უსაფრთხოების განცდა და უფლებრივი მდგომარეობა ოჯახსა და საზოგადოებაში 9

თავი II. ძირითადი მიგრაციული ტენდენციები: ზოგადი სურათი 12

- **2.1. მიგრაციასთან დაკავშირებული განწყობები და მისი მასშტაბების აღქმა 12**
- **2.2. მიგრაციასთან დაკავშირებული განწყობები ასაკის, ოჯახური მდგომარეობისა და სოციალური სტატუსის მიხედვით 14**
- **2.3. ძალადობის გამოცდილება და მიგრაციის განზრახვა 16**
- **2.4. ოჯახური მდგომარეობა და ფინანსური ფაქტორების გავლენა მიგრაციის განზრახვაზე 16**
- **2.5. მიგრაციის ტენდენციები მუნიციპალიტეტების მიხედვით 18**

თავი III. რა უბიძგებს ქალს მიგრაციისკენ? - მიზეზები 19

- **3.1. ქალთა მიგრაციის კომპლექსური მოტივები 19**
- **3.2. სერვისებზე ხელმიუწვდომლობა, როგორც მიგრაციის სტრუქტურული წინაპირობა 23**

თავი IV. ინტერსექციური მოწყვლადობა, როგორც მიგრაციის დამატებითი გამომწვევი ფაქტორი 24

თავი V. ქალების მხრიდან მიგრაციის აღქმა და საზოგადოებრივი დამოკიდებულებები 26

- **5.1. როგორ აღიქვამენ ქალები მიგრაციას 26**
- **5.2. საზოგადოების დამოკიდებულება მიგრაციაში წასული ქალების მიმართ 27**

თავი VI. მიგრაციის ნეგატიური შედეგები დარჩენილ ოჯახის წევრებზე 28

თავი VII. მიგრაციის შემცირების სტრატეგიები 29

დასკვნა 31

კვლევის შედეგების მოკლე მიმოხილვა

ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავდა დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ქალების ემიგრაციის გენდერული წინაპირობების შესწავლას და მიგრაციულ გადაწყვეტილებებზე მათი უსაფრთხოების განცდის, სოციალურ-ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობის, აგრეთვე ინტერსექციული მოწყვლადობის ფაქტორების ზემოქმედების გაანალიზებას. კვლევამ მოიცვა 11 მუნიციპალიტეტი (ჩოხატაური, ქობულეთი, წყალტუბო, ქუთაისი, ხონი, თერჯოლა, ვანი, სენაკი, ზუგდიდი, წალენჯიხა, ხობი), რომლის დროს გამოიკითხა სხვადასხვა ასაკის, ოჯახური მდგომარეობისა თუ სოციალური სტატუსის მქონე 600 ქალი, აქედან რაოდენობრივ ნაწილში - 570 ქალი, ხოლო თვისებრივში - 30.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ქალთა მიგრაციის განწყობები უკიდურესად მაღალია. რესპონდენტების 67%-ს ერთხელ მაინც უფიქრია მიგრაციაზე, როგორც საკუთარი და ოჯახის მდგომარეობის გაუმჯობესების ერთადერთ გზაზე. ამჟამად მიგრაციაზე ფიქრობს გამოკითხულთა 30%, ხოლო 37%-ს წარსულში ჰქონია ასეთი განზრახვა.

მიგრაციის განზრახვა ყველაზე მაღალია 18-24 წლის ქალებში (51%), რაც ასახავს მათ მაღალ მიგრაციულ განწყობას განათლებისა და დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობების ფონზე. 25-44 წლის ეკონომიკურად აქტიურ ქალებში ეს მაჩვენებელი 32-33%-ია, რაც ზრდის შრომითი რესურსების დაკარგვისა და დემოგრაფიული სტრუქტურის გაუარესების რისკს. საგულისხმოა, რომ 60+ ასაკის ქალების 18%-იც კი განიხილავს მიგრაციას, რაც მიუთითებს სოციალური დაცვის სისტემის სისუსტეზე და ხანდაზმულთა ღირსეული ცხოვრების პირობების ნაკლებობაზე.

მუნიციპალიტეტების მიხედვით მიგრაციის ტენდენციების შეფასებისას გამოიკვეთა, რომ მიგრაციის განზრახვა შედარებით მაღალია ზუგდიდში (40%), ჩოხატაურში (39%), სენაკში (38%), წალენჯიხაში (32%), ხონში (30%) და ხობში (29%). ეს მონაცემები მიუთითებს ეკონომიკური შესაძლებლობების შეზღუდულობაზე, სერვისების მიუწვდომლობაზე და ზოგიერთ შემთხვევაში - უსაფრთხოების გამოწვევებზე (განსაკუთრებით - გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში), რაც მიგრაციას ქალებისთვის ერთადერთ გამოსავლად აქცევს. შედარებით ნაკლებია მაჩვენებელი წყალტუბოში (18%), ვანში (23%) და თერჯოლაში (26%), რაც შესაძლოა აიხსნას სოფლის მეურნეობაზე ან ადგილობრივ თვითდასაქმებაზე დაფუძნებული მინიმალური სტაბილურობით, ან იმით, რომ წინა მიგრაციულმა ტალღებმა უკვე შეამცირა მიგრაციის პოტენციური რესურსი ამ მუნიციპალიტეტებში. აღსანიშნავია, რომ მიგრაციის განზრახვა მაღალია როგორც ურბანულ ცენტრებში, ასევე სოფლის დასახლებებში, რაც ადასტურებს, რომ მიგრაცია ქალებისთვის თითქმის უნივერსალურ გამოსავლად რჩება.

მიგრაციის ძირითადი ფაქტორები მრავალგანზომილებიანია და მოიცავს როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ, გენდერულ და უფლებრივ ასპექტებს:

ეკონომიკური ფაქტორები რჩება წამყვან მოტივად. რესპონდენტთა 59.8% მიგრაციის მიზეზად ეკონომიკურ დაუცველობას, ხოლო 58.5% დასაქმების შესაძლებლობების არ-

ქონას ასახელებს[1]. მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, საბანკო ვალების არსებობა და შვილების განათლების უზრუნველყოფის სირთულეები ქალებს იძულებულს ხდის, რომ მიგრაცია განიხილონ, როგორც ოჯახის გადარჩენის სტრატეგია. ამასთან, ხშირია შემთხვევები, როცა ქალები მიგრაციას მიმართავენ აზარტულ თამაშებში ჩათრეული ან ნარკოტიკებზე დამოკიდებული ოჯახის წევრების მიერ დაგროვილი ვალების დასაფარად, რაც მათ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს.

თუმცა, მიგრაცია ქალებისთვის არ განიხილება მხოლოდ როგორც ეკონომიკური გაძლიერების საშუალება. ის ხშირად არის **უფლებრივი შეზღუდვების, ოჯახში კონტროლის, პატრიარქალური წნეხის და ძალადობისგან თავის დაღწევის გზა.** ოჯახებში ქალების მხოლოდ მეოთხედს (25,3%) აქვს პირად ცხოვრებაზე დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა, ხოლო ფინანსურ საკითხებში გადაწყვეტილებების სრული ავტონომია აქვს 21,6%-ს. ასეთ პირობებში, ქალები სისტემურად ემორჩილებიან ქმრების და ოჯახის უფროსების ნებას. მათი აზრი და სურვილები კი სათანადოდ არ არის გათვალისწინებული. **ოჯახში ძალადობა** მიგრაციის ერთ-ერთ უმთავრეს გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს. ბევრი ქალი იძულებულია, ემიგრაციაში წავიდეს ფსიქოლოგიური, ფიზიკური ან ეკონომიკური ძალადობისგან გასანთავისუფლებლად. კვლევაში მნიშვნელოვნად გამოიკვეთა კავშირი ძალადობის გამოცდილებასა და მიგრაციის განზრახვას შორის: ქალთა 36%-ს, რომელსაც ბოლო 12 თვეში ძალადობის რომელიმე ფორმა გამოუცდია, ამჟამად ფიქრობს მიგრაციაზე. განსაკუთრებით მაღალია ეს მაჩვენებელი მათ შორის, ვისაც შეზღუდული ჰქონდა გადაადგილება (42.3%), უკონტროლებდნენ ფინანსებს (40.9%), ეკრძალებოდა დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება (40.9%), განიცდიდა სიტყვიერ შეურაცხყოფას (36.2%) ან ფიზიკურ ძალადობას (34.4%).

სოციალური, ჯანმრთელობის და საბინაო სერვისების დეფიციტი მიგრაციის მნიშვნელოვან სტრუქტურულ წინაპირობად რჩება. ქალების დიდი ნაწილი ვერ სარგებლობს ბავშვზე, შშმ პირებზე ან ხანდაზმულებზე ზრუნვის, ფსიქოლოგიური დახმარებისა და ძალადობისგან დაცვის სერვისებით ან არსებული სერვისები ვერ უზრუნველყოფს მათ საჭიროებას, რაც რეგიონებში განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა. ჯანმრთელობის მომსახურების შეზღუდული დაფინანსება და დაბალი ხარისხი ბევრ ქალს აიძულებს მიგრაციაში წასვლას, რათა უზრუნველყოს ოჯახის წევრების სამკურნალო და რეაბილიტაციის ხარჯები ან საკუთარი და შვილების საჭიროებები. გარდა ამისა, ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის სერვისების სისტემური ნაკლებობა, მათ შორის თავშესაფრების, იურიდიული, ფსიქოლოგიური, ჯანმრთელობის და საცხოვრებელი მხარდაჭერის სერვისების მიუწვდომლობა, კიდევ უფრო ზრდის მიგრაციის აუცილებლობას.

პოლიტიკური არასტაბილურობა და მმართველობითი პროცესებისადმი უნდობლობა მნიშვნელოვნად ამძიმებს მიგრაციულ განწყობებს. სამსახურის დაკარგვა პოლიტიკური შეხედულებების გამო ხშირია, რაც ქალებს და მათ ოჯახებს მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ კრიზისში აგდებს.

---

1 შენიშვნა: გასათვალისწინებელია, რომ შედეგების ინტერპრეტაციისას პროცენტული მაჩვენებლები მიუთითებს მონიშნული პასუხების რაოდენობაზე და არა რესპონდენტთა მთლიან წილზე, რადგან ცალკეულ კითხვებზე შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის არჩევა.

ინტერსექციური მოწყვლადობა კიდევ უფრო ზრდის მიგრაციის რისკს ქალებისთვის. მიგრაციის განზრახვა განსაკუთრებით მაღალია **გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ** (38%), **დევნილ** (35%) და **სოციალურად დაუცველ** (34%) ქალებს შორის. **განქორწინებულ და მარტოხელა დედებს** ერთდროულად აწევთ მატერიალური დაუცველობისა და საზოგადოებრივი სტიგმის ტვირთი, რაც მათი მიგრაციის განწყობებს კიდევ უფრო აძლიერებს. ასევე, შშმ პირზე პასუხისმგებელი ქალებისთვის მიგრაცია ერთადერთი გზაა შესაბამისი სამედიცინო და სოციალური სერვისების მოსაპოვებლად.

ქალთა მიგრაციის აღქმა საზოგადოების მხრიდან კვლავაც სტიგმატიზებულია და მათი შრომა სათანადოდ არ ფასდება. ხშირად მიგრანტ ქალებს ადანაშაულებენ „ოჯახის მიტოვებასა“ და „თავისუფალი ცხოვრების ძიებაში“, რაც რეალურ სურათთან სრულ წინააღმდეგობაშია. ამასთან, ხშირად მიგრანტ ქალთა დაბრუნება ოჯახისთვის ფინანსური კეთილდღეობის დაკარგვის საფრთხედ აღიქმება, რაც ხელს უშლის მათი რეინტეგრაციის პროცესს.

ქალთა მხრიდან მიგრაციის აღქმა წინააღმდეგობრივი და მრავალგანზომილებიანია. ქალების ნახევარზე მეტი (49.8%) მიგრაციას ხედავს, როგორც შვილების უსაფრთხოებისა და მომავლის უზრუნველყოფის გზას, 42.5% კი, როგორც ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და პიროვნული განვითარების შესაძლებლობას. ამავდროულად, მიგრაციის ემოციური და ფსიქოლოგიური ტვირთი (მარტოობა, ოჯახთან ურთიერთობის გაწყვეტა და გაუცხოება) მკვეთრად აღიქმება და უარყოფითად აისახება მათ ცხოვრებაზე.

მიგრაციის უარყოფით შედეგებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დარჩენილი ოჯახის წევრების ემოციური გაუცხოება, ფსიქოლოგიური პრობლემები, ოჯახის წევრების, განსაკუთრებით შვილების ქცევითი პრობლემების გაღრმავება, მათ შორის აზარტულ თამაშებზე, ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულების ზრდა, რაც ოჯახის სოციალური სტრუქტურის და ბავშვების განვითარებისთვის სერიოზულ გამოწვევებს ქმნის. საგანგაშო ტენდენციაა ოჯახის წევრების დამოკიდებულება ე.წ. „მარტივ ფულზე“, როდესაც ემიგრაციაში მყოფი ქალის შრომა და გამომუშავებული თანხა აღიქმება მუდმივ და გარანტირებულ შემოსავლის წყაროდ, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ქალის ექსპლუატაციას.

ქალთა მიგრაციის პრევენცია მოითხოვს კომპლექსურ, გენდერულად სენსიტიურ პოლიტიკას, რომელიც შექმნის ადგილობრივ დონეზე ღირსეული დასაქმების შესაძლებლობებს, ზრუნვის და ფსიქოლოგიური სერვისების სისტემურ განვითარებას, ძალადობისგან დაცვის ეფექტურ მექანიზმებს და ცნობიერების ამაღლებას თემებში მიგრაციის რეალურ რისკებზე. მხოლოდ ინტეგრირებული მიდგომა შეძლებს ქალთა იძულებითი მიგრაციის შემცირებას და მათი ეკონომიკური, სოციალური და უფლებრივი მდგომარეობის არსებით გაუმჯობესებას.

შესავალი

ბოლო წლებში საქართველოდან მიგრაციის მასშტაბები საგრძნობლად გაიზარდა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მონაცემებით, 2022 წელს ქვეყნიდან გასული მიგრანტების რაოდენობა 125,000 ადამიანს აღემატებოდა, 2023 წელს ეს მაჩვენებელი დაახლოებით 245,000 იყო, ხოლო 2024 წელს დაფიქსირდა 121,000-ზე მეტი ემიგრანტი.

მიუხედავად იმისა, რომ 2024 წლის მონაცემი წინა წელთან შედარებით შემცირებულია, ეს არ მიუთითებს მიგრაციის ტენდენციის სტაბილიზაციაზე. შესაძლებელია, რომ ეს კლება ასახავდეს მიგრაციის გადაწყვეტილების დროებით გადადებას საპარლამენტო არჩევნების მოლოდინში, რაც ხშირად განპირობებულია მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-სტრუქტურული ცვლილებების მოლოდინით.

გენდერულ ჭრილში არსებული სტატისტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ მიგრაციულ პროცესებში ქალების ჩართულობა საკმაოდ მაღალია. არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2022-2024 წლებში ქალების წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა: თუ 2022 წელს მიგრანტ ქალთა რაოდენობა მხოლოდ 30.6%-ს შეადგენდა, 2023 წელს ის 43.9%-მდე გაიზარდა, ხოლო 2024 წელს 40.1% შეადგინა (იხ. ცხრილი #1). ეს მიუთითებს იმაზე, რომ ქალებისთვის მიგრაცია სულ უფრო ხშირად იქცევა არსებული სოციალურ-ეკონომიკური პირობებიდან თავის დასაღწევ გზად.

ცხრილი #1:

2022–2024 წლებში საქართველოდან ემიგრირებული ქალების რაოდენობა[2]

წელი	მთლიანად ემიგრანტები	მამაკაცი (%)	ქალი (%)
2022	125 269	87 154 (69.4%)	38 115 (30.6%)
2023	245 064	137 311 (56.1%)	107 753 (43.9%)
2024	121 425	72 782 (59.9%)	48 643 (40.1%)

ქალთა ემიგრაციის ასაკობრივი ანალიზი მკაფიოდ ასახავს, რომ 2022–2024 წლებში მიგრაციულ ნაკადებში დომინირებენ 20-34 წლის ასაკის ქალები, რაც ყველაზე შრომისუნარიან და სოციალურ-რეპროდუქციულად აქტიურ ასაკობრივ ჯგუფს წარმოადგენს.

2023 წელს, რომელიც მიგრაციის თვალსაზრისით პიკური წელიწადი იყო, ქვეყანა დატოვა 25-29 წლის ასაკის 8,830 ქალმა, 30-34 წლის 7,514 ქალმა და 20-24 წლის 6,989 ქალმა. ეს ცხადყოფს, რომ ახალგაზრდა და ეკონომიკურად აქტიური ასაკის ქალები მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენენ მიგრაციულ ნაკადებში (იხ. ცხრილი #2).

2 საქსტატი, მიგრაცია, ხელმისაწვდომია https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia

ცხრილი #2: **2022–2024 წლებში საქართველოდან ემიგრირებული ქალების რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.**[3]

ასაკობრივი ჯგუფი	2022	2023	2024
15-19 წელი	1 640	2 486	1 627
20-24 წელი	3 695	6 989	3 918
25-29 წელი	4 405	8 830	4 758
30-34 წელი	3 468	7 514	4 077
35-39 წელი	2 907	6 065	3 370
40-44 წელი	2 469	4 958	2 739
45-49 წელი	2 007	4 078	2 209
50-54 წელი	1 661	3 253	1 762
55-59 წელი	1 243	2 253	1 210
60+	2 620	4 219	2 708

მიგრირებული ქალების რაოდენობის ზრდა მიანიშნებს მკვეთრ გენდერულ ტენდენციაზე და საჭიროებს გამომწვევი მიზეზების, გამოწვევებისა და რისკების ცალკე გაანალიზებას.

სწორედ ამას ემსახურებოდა ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ დასავლეთ საქართველოს 11 მუნიციპალიტეტში[4] ჩატარებული კვლევა, რომლის **მთავარი მიზანი იყო რეგიონებში მცხოვრები სხვადასხვა სოციალური სტატუსის ქალების ემიგრაციის გენდერული წინაპირობების შესწავლა და იმ სოციალურ-ეკონომიკური, უფლებრივი და ინტერსექციური მოწყვლადობის ფაქტორების ანალიზი, რომლებიც მათ მიგრაციულ გადაწყვეტილებებს განსაზღვრავს.**

ამ მიზნის მისაღწევად, კვლევა ისახავდა შემდეგ ამოცანებს:

- გამოავლინოს ქალთა მიგრაციის ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორები, მათ შორის ფიზიკური დაუცველობა, სოციალური მხარდაჭერის ხარისხი და ეკონომიკური პრობლემები;
- შეაფასოს ქალის უფლებრივი მდგომარეობა ოჯახსა და საზოგადოებაში, როგორც ემიგრაციის სტრუქტურული მიზეზი;
- შეისწავლოს საჯარო სერვისებზე ქალების ხელმისაწვდომობა და შეაფასოს მათი მორგებულობა მათ საჭიროებებზე;
- გამოავლინოს და გააანალიზოს ინტერსექციური მოწყვლადობის ფაქტორები და მათი გავლენა ემიგრაციაზე;
- კვლევის მიგნებების საფუძველზე, ხელი შეუწყოს თემზე დაფუძნებული ინიციატივების განვითარებას, რომლებიც მიზნად ისახავს მიგრაციის პრევენციას და მისი ნეგატიური შედეგების შემცირებას.

3 იგივე

4 ჩოხატაური, ქობულეთი, წყალტუბო, ქუთაისი, ხონი, თერჯოლა, ვანი, სენაკი, ზუგდიდი, წალენჯიხა, ხობი

კვლევის მეთოდოლოგია და დემოგრაფიული მონაცემები

კვლევის მეთოდი: კვლევა ჩატარდა შერეული მეთოდებით და მოიცავდა როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ კომპონენტებს. *რაოდენობრივი კვლევა* განხორციელდა თვითადმინისტრირებადი სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით, ონლაინ ფორმატში. მრავალპასუხიან კითხვებზე რესპონდენტებს ჰქონდათ რამდენიმე პასუხის მონიშვნის შესაძლებლობა, შესაბამისად, ცალკეული მონაცემები ასახავს პასუხების რაოდენობას და არა რესპონდენტთა წილს საერთო ნაკრებში. *თვისებრივი კვლევა* განხორციელდა ფოკუს-ჯგუფებისა და ჩაღრმავებული ინდივიდუალური ინტერვიუების მეთოდებით, თემატურად ღია და ნახევრადსტრუქტურირებული კითხვების გამოყენებით.

კვლევის სამიზნე მუნიციპალიტეტები: კვლევა განხორციელდა 11 მუნიციპალიტეტში - ჩოხატაური, ქობულეთი, წყალტუბო, ქუთაისი, ხონი, თერჯოლა, ვანი, სენაკი, ზუგდიდი, წალენჯიხა, ხობი.

სამიზნე ჯგუფები: კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ სხვადასხვა ასაკის, ოჯახური მდგომარეობისა და სოციალური სტატუსის მქონე ქალები. მონაცემები განიხილებოდა შემდეგი კატეგორიების მიხედვით: ასაკობრივი ჯგუფები (18-24, 25-34, 35-44, 45-59, 60+), ოჯახური მდგომარეობა (დაოჯახებული, დაუოჯახებელი, განქორწინებული, ქვრივი, მარტო მცხოვრები, მეუღლე მიგრაციაშია) და სოციალური სტატუსი (დევნილი/იძულებით გადაადგილებული პირი, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელში მცხოვრები, სოციალურად დაუცველი, შშმ პირზე ან ხანდაზმულზე ზრუნვაზე პასუხისმგებელი ქალი).

კვლევაში ჩართულ პირთა რაოდენობა: კვლევის რაოდენობრივ ნაწილში **ანკეტირების გზით გამოიკითხა 570 ქალი,** ხოლო თვისებით კომპონენტში, **ფოკუს-ჯგუფებსა და ჩაღრმავებულ ინდივიდუალურ ინტერვიუებში** მონაწილეობა მიიღო **30 ქალმა. სულ კვლევამ მოიცვა 600 ქალი.**

დემოგრაფიული პროფილი:

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით რესპონდენტების კომპოზიცია შემდეგნაირად განაწილდა: 18-24 წლის – 7,9%, 25-34 წლის – 21,6%, 35-44 წლის – 30,7%, 45-59 წლის – 30,2%, ხოლო 60 წელს ზემოთ ასაკის ქალები შეადგენდნენ 9,6%-ს.

ოჯახური მდგომარეობის მიხედვით გამოკითხულთა 48,9% დაოჯახებულია, 21,2% - დაუოჯახებელი, 10,7% - განქორწინებული, 6,1% - ქვრივი, 7,4% - მარტო მცხოვრები, ხოლო 5,6%-ს მეუღლე მიგრაციაში ჰყავს.

სოციალური სტატუსის მიხედვით 29,3% იძულებით გადაადგილებული პირია (დევნილი), 23% – სოციალურად დაუცველი, 10,7% - გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელში მცხოვრები, ხოლო 17,5% შშმ პირზე ან ხანდაზმულზე ზრუნავს; 40,7%-ს არცერთი აღნიშნული სტატუსი არ გააჩნდა.

კვლევის ჩატარების პერიოდი: 2025 წლის აპრილი-მაისი.

კვლევის ძირითადი მიგნებები

თავი I. ქალების უსაფრთხოების განცდა და უფლებრივი მდგომარეობა ოჯახსა და საზოგადოებაში

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ქალების უსაფრთხოების განცდა და უფლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეზღუდულია როგორც ოჯახურ სივრცეში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში და არსებითად ჩამორჩება მამაკაცებისას. განსაკუთრებით მწვავედ ჩანს ეს დისბალანსი ოჯახში, სადაც გადაწყვეტილებების მიღება, რესურსებზე წვდომა და დამოუკიდებელი ქმედების შესაძლებლობა მკაფიოდ ასიმეტრიულია. ოჯახში ჩამოყალიბებული იერარქიული ძალაუფლება და სქესობრივ როლებზე დაფუძნებული სტერეოტიპული მოლოდინები განსაზღვრავს ქალის ადგილს და შესაძლებლობებს, რაც პირდაპირ აისახება მის გადაწყვეტილების მიღების უნარზე, ეკონომიკურ ავტონომიაზე და მიგრაციულ ტენდენციებზე.

რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, **საკუთარ სახლში ქალების უსაფრთხოების** საშუალო შეფასება 5-ქულიანი შკალით 3.7-ს შეადგენს, რაც ზომიერად მაღალი უსაფრთხოების განცდაზე მიუთითებს. თუმცა, საგულისხმოა, რომ ქალების 17.4%-მა საკუთარ სახლს დაბალი უსაფრთხოების დონე (1-2 ქულა) მიანიჭა, რაც ოჯახურ სივრცეშიც კი არსებული საფრთხეების მანიშნებელია. **ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას** ქალების უსაფრთხოების საშუალო შეფასება 3.8 ქულაა, რაც ზომიერად დადებით დონეს ასახავს, თუმცა, რესპონდენტთა თითქმის მეხუთედი (17.9%) საკუთარ მდგომარეობას დაბალი უსაფრთხოების დონეზე აფასებს (1-2 ქულა), რაც ოჯახურ ურთიერთობებში მათ მოწყვლადობაზე მიუთითებს.

პირად ცხოვრებასა და პროფესიულ გადაწყვეტილებებზე უსაფრთხოების შეფასების საშუალო მაჩვენებელი 3.6 ქულაა, ხოლო დაბალ შეფასებას (1-2 ქულა) კვლევაში მონაწილეთა თითქმის მეხუთედი (19.8%) აძლევს. **საზოგადოებრივ სივრცეში გადაადგილებისას** უსაფრთხოების განცდა შედარებით დაბალია სხვა კატეგორიებთან შედარებით - საშუალოდ 3.3 ქულა, სადაც რესპონდენტთა 19.1% თავს დაუცველად ან ძალიან დაუცველად მიიჩნევს. **ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასება ყველაზე დაბალი აღმოჩნდა** - საშუალოდ 2.9 ქულა. **ყოველი მეოთხე ქალი (27.2%) თავის ფინანსურ მდგომარეობას დაბალი უსაფრთხოების დონეზე აფასებს,** რაც მიუთითებს ეკონომიკური სტაბილურობის მწვავე დეფიციტზე (იხ. ცხრილი #3).

ცხრილი #3: **ქალების უსაფრთხოების შეფასებები**

უსაფრთხოების განცდა	**1**	**2**	**3**	**4**	**5**	**საშუალო ქულა**
საკუთარ სახლში	3.9%	13.5%	22.6%	21.1%	38.9%	**3.7**
ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას	3.0%	14.9%	28.8%	20.7%	32.6%	**3.8**
პირად, სწავლისა და სამუშაო არჩევანზე გადაწყვეტილების დროს	3.2%	16.6%	31.1%	25.1%	24.0%	**3.6**
საზოგადოებრივ სივრცეში უსაფრთხოება	4.7%	14.4%	36.5%	27.4%	17.0%	**3.3**
ეკონომიკური უსაფრთხოება	7.9%	19.3%	37.9%	22.5%	12.5%	**2.9**

რაც შეეხება **ოჯახში ქალების პირად ან ყოველდღიურ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებას,** დამოუკიდებლად გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ **25.3% ქალი**, **38.9% შემთხვევაში გადაწყვეტილებები მიიღება თანაბრად, შეთანხმებით**. დაახლოებით **35.7%-ს კი გადაწყვეტილებების მიღებაში ან შეზღუდული მონაწილეობა აქვს, ან საერთოდ არ არის ჩართული**.

ფინანსურ და საკუთრების საკითხებში დამოუკიდებლად გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ **21.6% ქალი**, **45.3%-ში გადაწყვეტილებები მიიღება თანაბრად**, თუმცა **33.1%-ს ფინანსურ საკითხებში დამოუკიდებელი მონაწილეობა არ აქვს, ან მხოლოდ ნაწილობრივ ითვალისწინებენ მის აზრს**.

რაოდენობრივი კვლევის ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ მიუხედავად ოჯახებში თანაბარი გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკის არსებობისა, **ქალების სრული დამოუკიდებელი ავტონომია, მაინც მხოლოდ ყოველ მეხუთე ქალს აქვს**, რაც ასახავს მათ გადაწყვეტილებების მიღების შეზღუდულ შესაძლებლობებს და ეკონომიკურ თუ უფლებრივ დამოკიდებულებას ოჯახის სხვა წევრებზე.

კვლევის შედეგები ასევე ცხადყოფს, რომ ოჯახში **ძალადობის საკითხი მჭიდროდ უკავშირდება ქალების უსაფრთხოების განცდას.** მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების 58.1%-მა ძალადობის ჩამოთვლილი ფორმებიდან არცერთი არ დაასახელა, ხოლო 17.9%-მა პასუხისგან თავი შეიკავა, ასეთი მაღალი თავშეკავების მაჩვენებელი მიუთითებს საკითხის სენსიტიურობაზე და იმ გარემო ფაქტორებზე, რომლებიც ზღუდავს ქალების შესაძლებლობას, ღიად და უსაფრთხოდ ისაუბრონ საკუთარ გამოცდილებაზე. ასეთ პირობებში, არც პასუხი „არა" და არც თავშეკავება არ შეიძლება აღქმულ იქნას ძალადობის გამოცდილების მკაფიო უარყოფად.

კვლევის მიხედვით, ყველაზე გავრცელებულ ძალადობის ფორმებად დასახელდა ფინანსური კონტროლი (16.3%), დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების აკრძალვა (14.4%) და სიტყვიერი შეურაცხყოფა (14.0%). შედარებით დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება გადაადგილების შეზღუდვის (12.5%) და ფიზიკური ძალადობის (5.6%) მიმართულებით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, დაბალი მაჩვენებელი, შესაძლოა, არა მხოლოდ მისი იშვიათობით, არამედ ამ ტიპის გამოცდილებაზე საუბრის შიშით, სირცხვილის განცდით ან საკითხის მწვავე ტაბუირებით აიხსნას.

თვისებრივი კვლევა კიდევ უფრო ამყარებს ოჯახში არსებული უფლებრივი უთანასწორობის სურათს. ფოკუს-ჯგუფებსა და ჩაღრმავებულ ინტერვიუებში ქალები აღწერდნენ პრობლემათა კომპლექსს, რომელიც მათი ყოველდღიური ცხოვრების ყველა ასპექტში ვლინდება.

ოჯახში ძალაუფლების არათანაბარი განაწილება: ქალების უმეტესობა საუბრობს იმაზე, რომ ოჯახის შიგნით გადაწყვეტილებებს, ძირითადად, კაცები ან დედამთილები იღებენ. ქალები ნაკლებად აღიქმებიან გადაწყვეტილების მიმღებებად - ***„ქალს არ აქვს უფლება, ელემენტარულად, მიიღოს გადაწყვეტილება, რომელ სკოლაში დაარეგისტრიროს ბავშვი"; „დაიბადება ბავშვი და ნათლიასაც დედამთილ-მამამთილი ირჩევს".***

ეს ქმნის ქალის სუბორდინირებულ მდგომარეობას, რაც აქვეითებს მის თვითშეფასებას და ხელს უშლის მის სოციალურ აქტივობას.

ნორმალიზებული პატრიარქალური დაქვემდებარება: ქალის უფლებრივი მდგომარეობის დაკნინება ბევრ ოჯახში ღრმად ფესვგადგმულ პატრიარქალურ ნორმებს უკავშირდება, რომელშიც ბუნებრივად იქმნება ქალსა და მამაკაცს შორის ძალაუფლების ასიმეტრია, რაც ხშირად ნორმალიზებულია ქალის მხრიდანაც კი. შესაბამისად, მამა, ქმარი ან ოჯახის სხვა მამაკაცი ხდება მისი ცხოვრების „მმართველი", ხოლო თვითონ ირგებს დაქვემდებარებულ პოზიციას. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით - ***„არის ქალების კატეგორია, რომლებსაც ეს ხასიათში გაუჯდა და ჰგონია, რომ უნდა იყოს დაქვემდებარებული. ან ეშინია იმ მოძალადე მამის, რომელიც ამტკიცებს, რომ ქალი არის „კაცის საკუთრება და ვალდებულია, ყველანაირად გაუწიოს ანგარიში კაცს", ან შეჩვეულია, რომ მას არასდროს შეეძლო პირადად ეყიდა რამე ისე, რომ მისი აზრი ყოფილიყო გათვალისწინებული. მისი პროფესიაც კი საბოლოოდ მამის მიერ შეირჩა... გათხოვების დროსაც მამამ შეიძლება შეარჩიოს „კარი ოჯახის შვილი". ეს ყველაფერი უკვე მყარად უჯდება ხასიათში და იქმნება ქალის უუფლებობის მანკიერი წრე".***

ქალის შრომის დაუფასებლობა: ოჯახზე ზრუნვა ქალის ბუნებრივ ვალდებულებად ითვლება და არ განიხილება ღირებულ შრომად - ***„ქალი სახლში მთელი დღე რომ ტრიალებს, მას არ უფასდება ეს შრომა და კაცი რომ სახლში ფულს შემოიტანს, მხოლოდ ეს არის დანახული".***

ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაბალი ხარისხი: მონაწილეთა ნაწილი საუბრობს ოჯახებში ქალთა მიმართ ფიზიკურ, სიტყვიერ, ფსიქოლოგიურ ან ეკონომიკურ ძალადობაზე, რომელიც „ნორმად" არის ქცეული არა მხოლოდ ოჯახებსა და სოციუმში, არამედ თავად ქალისთვის. ეს მიანიშნებს არა მხოლოდ ძალადობის გავრცელებულ პრაქტიკაზე, არამედ მის მიმართ საზოგადოებაში შემწყნარებლურ დამოკიდებულებაზე, რაც მნიშვნელოვნად ართულებს ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიან რეაგირებასა და პრევენციას - ***„ბევრი ქალი ვერც კი აცნობიერებს, რომ იმ მდგომარეობაში, სადაც მთელი საოჯახო ტვირთი მასზეა და არ აქვს არც სიტყვის თავისუფლება, არც ფინანსურ საკითხებში მონაწილეობის უფლება, სწორედ ეს არის ძალადობა. სამწუხაროდ, ასეთ ვითარებას ქალები ნორმად აღიქვამენ. არა მხოლოდ ისინი, ვინც თავად ამ მდგომარეობაში იმყოფება, არამედ კაცებიც, რომლებიც ამ მდგომარეობას მათთვის ქმნიან. ჩვენს საზოგადოებაში ძალადობა უმეტესად მხოლოდ ცემა-ტყეპად ესმით, სხვა ფორმები კი არც აღიარებულია და ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევა".***

ეკონომიკური დამოკიდებულება და ავტონომიის დეფიციტი: რესპონდენტების თქმით, ქალები, რომლებიც ეკონომიკურად დამოკიდებულნი არიან მეუღლესა თუ ოჯახის სხვა წევრებზე, ვერ ახერხებენ არც რესურსებზე წვდომას, არც პირადი ფინანსური აქტივის განკარგვას. თუნდაც დასაქმებული ქალის შემოსავალი ხშირად კონტროლდება და არ მიიჩნევა დამოუკიდებელ რესურსად - ***„ქალს შეიძლება ძალიან უნდოდეს დამოუკიდებლობა და საკუთარი გადაწყვეტილებების მიღება, მაგრამ როდესაც ფინანსურად დამოკიდებულია ქმარზე, ძმაზე, მამაზე ან დედამთილზე, მის სიტყვას არაფრად აგდე-***

ბენ. ბევრია ისეთი ქალიც, ვინც მუშაობს, მაგრამ მის ხელფასს მაინც სხვები განკარგავენ, რადგან ყველაფერს ოჯახის საერთო საჭიროებად თვლიან".

ქალების არაპროპორციული ზრუნვის ტვირთი: რესპონდენტების სრული უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ ქალებს სრულად უწევთ საკუთარ თავზე ოჯახის არაპროპორციული ზრუნვის ტვირთის აღება, როგორც ბავშვებზე, მოხუცებზე, ოჯახის სხვა წევრების საჭიროებებზე. ქალების დიდი ნაწილი სწორედ ოჯახებში არაპროპორციული შრომის გამო ვერ ახერხებს სოციალურ აქტიურობას - *„ქალები ჩართული არიან საოჯახო საქმიანობაში, ბავშვების სკოლაში წაყვანა-წამოყვანაში, მათზე გადადის მთლიანად ბავშვებზე და ოჯახის სხვა წევრებზე ზრუნვის ტვირთი და ეს აბსოლუტურად არაპროპორციულია ოჯახში ფუნქციური როლების კუთხით... საზოგადოებაში ესეთი ქალები არ არიან შემდგარები, ვერ მიდიან წინ და ნულის ტოლფასია მათი ჩართულობა საზოგადოების ცხოვრებაში".*

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის ჩართულობის დაბალი დონე: მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებთან შედარებით ქალების მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში შესამჩნევად გაიზარდა, კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ქალების მოსაზრებები, ინიციატივები და ხედვები ხშირად სათანადოდ არ არის აღქმული საზოგადოებაში. მამაკაცებით დომინირებულ გარემოში ქალის ხმას კვლავ ნაკლები წონა აქვს - *„ქალმა შეიძლება უკეთესი იდეა თქვას, უკეთესი ხედვა ჰქონდეს, მაგრამ რადგან ქალია, ნაკლებად ითვალისწინებენ."* ამასთან, რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ ქალების ქცევა მამაკაცებთან შედარებით ხშირად ხასიათდება *„თავმდაბლობით"*, რაც მეტწილად უკავშირდება ოჯახის შიგნით მიღებულ აღზრდის პრაქტიკებს. შედეგად, ქალის როლის არასათანადო აღქმა და აღიარება, თავად ქალის თვითშეფასების ნაკლებობა და შინაგანი ცენზურა ართულებს ქალების სრულფასოვან ჩართულობას თემის გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში.

თავი II. ძირითადი მიგრაციული ტენდენციები: ზოგადი სურათი

2.1. მიგრაციასთან დაკავშირებული განწყობები და მისი მასშტაბების აღქმა

კვლევის მონაცემთა ანალიზის მიხედვით, **ქალების 67% (ორი მესამედი)** აცხადებს, რომ **ერთხელ მაინც განიხილა მიგრაცია, როგორც ერთადერთი გამოსავალი საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.** განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ თითქმის **ყოველი მესამე რესპონდენტი (30%)** ამჟამადაც **ფიქრობს მიგრაციაზე,** ან წარსულში ჰქონია ეს განზრახვა (37%), რაც მიანიშნებს, რომ ეს საკითხი ქალებისთვის კვლავ აქტუალურია და მიმდინარე არჩევანია. გამოკითხულ რესპონდენტთა **მესამედი (33%) აცხადებს, რომ არასდროს განუხილავს მიგრაცია,** რაც მიუთითებს იმ ჯგუფზე, რომელიც უფრო სტაბილურად გრძნობს თავს ან აქვს ძლიერი ლოკალური სოციალური კავშირები, რაც ამცირებს მიგრაციისკენ მათ მიდრეკილებას (იხ. დიაგრამა #1).

დიაგრამა #1:

ყოფილა თუ არა თქვენ ცხოვრებაში დრო, როცა მიგრაცია განიხილეთ, როგორც ერთადერთი გამოსავალი?



ბოლო ორი წლის განმავლობაში მიგრაციის ტენდენციების პროცენტული მაჩვენებელის ანალიზი აჩვენებს მკაფიო დინამიკას მზარდი მიგრაციისკენ. რესპონდენტთა ნახევარზე **მეტი (50.9%) აღნიშნავს, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში მიგრაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა,** ხოლო 21.6% მიუთითებს მცირე ზრდაზე (იხ. დიაგრამა #2).

დიაგრამა #2:

როგორია ბოლო 2 წლის განმავლობაში თქვენს თემში ქალების მიგრაციის ტენდენცია?



ჯამში, გამოკითხულთა **72.5% აღნიშნავს მიგრაციის ზრდას** და მხოლოდ 3.9% მიუთითებს მიგრაციის ტემპის შემცირებაზე. რაც ადასტურებს, რომ ეკონომიკური გამოწვევები გრძელდება და საზღვარგარეთ არსებული შესაძლებლობები ქალების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის კვლავ მიმზიდველია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიგრაციის ქსელები (ნათესავები, მეგობრები საზღვარგარეთ) ძლიერდება და ეს აადვილებს ახალ მიგრანტთა წასვლას.

თვისებრივი კვლევის მონაცემები ამყარებს რაოდენობრივს. გამოკითხული ქალების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მიგრაციის ტემპი მათ სოციუმში საკმაოდ გაზრდილია. **მიგრაციის მასშტაბებზე მიუთითებს რეგიონებში შესამჩნევი დემოგრაფიული ცვლილებები**, რასაც თვითონ ადგილობრივი ქალები აფიქსირებენ. ქალების თქმით, სოფლების დაცარიელება ყოველდღიურად შეინიშნება, განსაკუთრებით - ახალგაზრდებისა და ქალების გადინება. გამყოფ ზოლთან მდებარე ერთ-ერთი სოფლის მკვიდრის თქმით - ***„120 კომლიდან 80 ქალი უკვე ემიგრაციაშია, ხოლო კიდევ 40 ემიგრანტებს წელს შეუერთდა. სოფელში დარჩენილია მხოლოდ 70 წელს გადაცილებული ქალები, ახალგაზრდები თითზე ჩამოსათვლელია“*** *(ხურჩა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).*

ზოგიერთ დასახლებაში მოსახლეობის დაცლის შედეგად, ზოგიერთ სკოლაში პირველი კლასიც კი არ გახსნილა (ხობის მუნიციპალიტეტი), რაც მიგრაციის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო სოციალური შედეგია: ***„ჩემს მუნიციპალიტეტშიც ასეთი სიტუაციაა, როგორც ყველგან. მაგალითად, რომ ავიღოთ ჩვენი დიდი ქუჩიდან, სადაც მე ვცხოვრობ, რომელიც არის დაახლოებით 800-მეტრიანი ქუჩა, 3 წელია, პირველკლასელი არ გვყოლია სკოლას... ძალიან მძიმეა სიტუაცია შიდა მიგრაციის და ემიგრაციის კუთხით. წელს რომ გააკეთეს აღწერა ჩვენს სოფელში, იქ, სადაც 400 ადამიანი ცხოვრობდა, 180 ადამიანის აღწერა მოხდა“.*** აღნიშნული ტენდენცია არა მხოლოდ ბავშვთა რაოდენობის მკვეთრ კლებაზე მიუთითებს, არამედ განასახიერებს თემის ფუნქციური ჩამოშლის პროცესს. **„დაცარიელებული სოფლების“** ფენომენი ერთდროულად აჩენს დემოგრაფიულ, საგანმანათლებლო და სოციალურ კოლაფსს და კიდევ უფრო ამძაფრებს რეგიონებში არსებულ უთანასწორობას.

2.2. მიგრაციასთან დაკავშირებული განწყობები ასაკის, ოჯახური მდგომარეობისა და სოციალური სტატუსის მიხედვით

კვლევამ აჩვენა, რომ მიგრაციასთან დაკავშირებული განწყობები მნიშვნელოვნად განსხვავდება ასაკის, ოჯახური მდგომარეობისა და სოციალური სტატუსის მიხედვით.

⇨ ასაკობრივი ჯგუფები

კვლევის მონაცემები ცხადყოფს, რომ რაც უფრო ახალგაზრდაა ასაკობრივი ჯგუფი, მით უფრო მაღალია მიგრაციისკენ მათი მიდრეკილება.

18-24 წლის ქალებში მიგრაციის განზრახვა ყველაზე მაღალია **(51%),** რაც შესაძლოა მათი ნაკლები ოჯახური ვალდებულებებით, მაღალი მობილურობით, ადაპტაციის უნარითა და უცხოეთში მეტი პერსპექტივის მოლოდინით აიხსნას. ასევე, ახალგაზრდა თაობა განსაკუთრებით მწვავედ განიცდის იმ სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ გამოწვევებს, რომლებიც გავლენას ახდენს მათ უსაფრთხოების განცდასა და მომავლის ხედვაზე. **25-34 წლის ჯგუფში** ეს მაჩვენებელი **33%-ია,** ხოლო **35-44 წლისებში – 32%.** ეს ჯგუფები ეკონომიკურად აქტიურ და რეპროდუქციულ ასაკს წარმოადგენენ,

რაც ერთდროულად ზრდის შრომითი რესურსების დაკარგვისა და „ტვინების გადინების“ რისკს და ქმნის სერიოზულ გამოწვევებს ქვეყნის დემოგრაფიული სტრუქტურისთვის და სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობისათვის გრძელვადიან პერსპექტივაში. **45-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში** მიგრაციის განზრახვა **23%-ია,** რაც შეიძლება მიუთითებდეს, რომ ამ ასაკშიც არ არის მოგვარებული ძირითადი ეკონომიკური ან სოციალური გამოწვევები. **60 წელს გადაცილებულ ქალებში** მიგრაციის განზრახვა შედარებით დაბალია **(18%),** თუმცა ყოველი მეხუთე ქალი მაინც განიხილავს მიგრაციას, რაც შეიძლება მიუთითებდეს საპენსიო სისტემისა და ხანდაზმულთა მხარდაჭერის სერვისების უკმარისობაზე.

⇨ ოჯახური მდგომარეობა

დაუოჯახებელ ქალებში მიგრაციის განზრახვა 43%-ს შეადგენს, რაც, შესაძლოა, მათი დამოუკიდებლობისკენ სწრაფვასა და მობილურობის შესაძლებლობებით აიხსნას.

საკმაოდ მაღალია მიგრაციის განზრახვა **(38%)** იმ **ქალებშიც, ვისაც მეუღლე ჰყავს მიგრაციაში,** რაც შეიძლება უკავშირდებოდეს ოჯახური ბიუჯეტის გაძლიერების ან ოჯახის გაერთიანების მოლოდინს.

განქორწინებულ ქალებში მიგრაციის განზრახვა **30%-ია,** რაც შესაძლოა ასახავდეს სტიგმასთან გამკლავების, სოციალური მხარდაჭერის ნაკლებობისა და ეკონომიკური სიძნელეების დაძლევის საჭიროებას. **დაოჯახებულ ქალებში** ეს მაჩვენებელი **შედარებით დაბალია (25%), ქვრივებში** კი - **23%,** თუმცა ამ შემთხვევაშიც ყოველი მეოთხე ქალი განიხილავს მიგრაციას, რაც ასევე მიუთითებს მათ ყოველდღიურ სირთულეებზე. **ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება მარტო მცხოვრებ ქალებში (19%),** რაც შესაძლოა აიხსნას იმით, რომ მათ ნაკლები ოჯახური ვალდებულება და ზრუნვის ტვირთი აკისრიათ, შესაბამისად, მცირდება მიგრაციის საჭიროება.

⇨ სოციალური სტატუსი

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მიგრაციის განზრახვა მჭიდროდ უკავშირდება ქალების სოციალურ სტატუსს: რაც უფრო მაღალია მოწყვლადობა, მით უფრო მეტად განიხილავენ მიგრაციას შესაძლო გამოსავლად. **ყველაზე მაღალია ეს მაჩვენებელი გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალებში (38%), დევნილებში და იძულებით გადაადგილებულ პირებში (35%)** და **სოციალურად დაუცველ ქალებში (34%). შედარებით დაბალია შშმ პირებზე ან ხანდაზმულებზე პასუხისმგებელ ქალებში - 31%, ხოლო ყველაზე დაბალი - სპეციალური სტატუსის არმქონე ქალებში (24%).** ეს მონაცემები მიუთითებს, რომ ეკონომიკური სიდუხჭირე, დაუკმაყოფილებელი საცხოვრებელი პირობები, ზრუნვის გადაჭარბებული ტვირთი და სახელმწიფო მხარდაჭერის ნაკლებობა მიგრაციას ბევრი ქალისთვის გარდაუვალ გამოსავლად აქცევს.

2.3. ძალადობის გამოცდილება და მიგრაციის განზრახვა

მნიშვნელოვანი კორელაცია იკვეთება ძალადობის გამოცდილებასა და მიგრაციის განზრახვას შორის: იმ ქალებს შორის, ვისაც ბოლო 12 თვეში ძალადობის რომელიმე ფორმა განუცდია, ამჟამად მიგრაციაზე ფიქრობს 36%. განსაკუთრებით მაღალია მიგრაციის განზრახვა მათ შორის, ვისაც შეზღუდული ჰქონდა გადაადგილება (42.3%), უკონტროლდებოდა შემოსავლები და ხარჯები (40.9%), ეკრძალებოდა გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება (40.9%), განიცდიდა სიტყვიერ შეურაცხყოფას (36.2%) და ფიზიკურ ძალადობას (34.4%), *(განხილულია შემთხვევების რაოდენობა, რესპონდენტებს ჰქონდათ საშუალება აერჩიათ რამდენიმე პასუხი).*

განსაკუთრებით თვალშისაცემია, რომ მიგრაციის განზრახვა უფრო მეტად ვლინდება იმ ქალებში, ვისაც შეზღუდული აქვს გადაადგილება, ფინანსები და გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლება, ვიდრე მათში, ვინც განიცდის ფიზიკურ ძალადობას, რაც მიუთითებს, რომ პირადი ავტონომიის სისტემური წართმევა, როგორც უხილავი და ყოვლისმომცველი კონტროლის ფორმა, ქალებში იწვევს თვითმყოფადობის დაკარგვის განცდას და იქცევა მიგრაციისკენ სწრაფვის ძლიერ სტიმულად.

2.4. ოჯახური მდგომარეობა და ფინანსური ფაქტორების გავლენა მიგრაციის განზრახვაზე

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ქალის მიგრაციის განზრახვაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მისი ფინანსური დამოუკიდებლობა და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის ხარისხი.

ცხრილი #3:

ქალების ფინანსური მდგომარეობა და მიგრაციის განზრახვა

ფინანსური რესურსის ტიპი	კი, ამჟამადაც ვფიქრობ მიგრაციაზე
არ ვფლობ ფინანსურ რესურსს, რომელსაც ვაკონტროლებ	30%
ნაწილობრივ ვფლობ ან ვიყენებ, მაგრამ გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად ვერ ვიღებ	37%
სრულად დამოუკიდებლად ვფლობ და ვმართავ	26%
ოჯახთან ერთად ვმართავ, თანაბარი მონაწილეობით	24%

მიგრაციის განზრახვის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალია იმ ქალებში, რომლებიც არ ფლობენ ფინანსურ რესურსს ან ფლობენ მხოლოდ ნაწილობრივ და ვერ იღებენ დამოუკიდებელ ფინანსურ გადაწყვეტილებებს. მიგრაციის სურვილი შედარებით დაბალია

იმ შემთხვევებში, როდესაც ქალი ან თავად მართავს ფინანსებს დამოუკიდებლად, ან თანაბარ მონაწილეობას იღებს ოჯახის სხვა წევრებთან ერთად (იხ. ცხრილი #3).

ეს ადასტურებს, რომ **ფინანსური ავტონომია და გადაწყვეტილებების პროცესში ჩართულობა** მნიშვნელოვან დამცავ ფაქტორად გვევლინება.

ქალების მიგრაციის განზრახვა განსხვავდება არა მხოლოდ ფინანსური კონტროლის მიხედვით, არამედ ოჯახური სტატუსის ჭრილშიც. ქვრივ და დაუოჯახებელ ქალებში მიგრაციაზე ფიქრის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ნაწილობრივი ფინანსური კონტროლის პირობებშიც კი, რაც შესაძლოა მიუთითებდეს, რომ ფინანსური დამოუკიდებლობის ნაკლებობა მათ მოწყვლადობას კიდევ უფრო ზრდის. იმ ქალებისთვის, რომელთა მეუღლეები მიგრაციაში იმყოფებან, ფინანსურ რესურსზე წვდომის არარსებობა ასევე მაღალი მიგრაციული განზრახვით ხასიათდება. განქორწინებულ და მარტო მცხოვრებ ქალებში, სადაც ფინანსური კონტროლი დამოუკიდებელია, მიგრაციაზე ფიქრის მაჩვენებელი ყველაზე დაბალია.

ცხრილი #4

ქალების ოჯახური მდგომარეობა და მიგრაციის განზრახვა

ოჯახური სტატუსი	ფინანსური კონტროლის დონე	მიგრაციაზე ფიქრის მაჩვენებელი (%)
ქვრივი	ნაწილობრივ ფლობს, მაგრამ გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად ვერ იღებს	67%
დაუოჯახებელი	ნაწილობრივ ფლობს, მაგრამ გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად ვერ იღებს	58%
მეუღლე მიგრაციაში ჰყავს	არ ფლობს ფინანსურ რესურსს, რომელსაც აკონტროლებს	50%
მარტო მცხოვრები ქალი	ნაწილობრივ ფლობს, მაგრამ გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად ვერ იღებს	15%
განქორწინებული	სრულად დამოუკიდებლად ფლობს და მართავს	10%
მარტო მცხოვრები ქალი	სრულად დამოუკიდებლად ფლობს და მართავს	10%

2.5. მიგრაციის ტენდენციები მუნიციპალიტეტების მიხედვით

კვლევის მონაცემთა თანახმად, მუნიციპალიტეტების მიხედვით ამჟამად მიგრაციაზე ფიქრობს გამოკითხული რესპონდენტების შემდეგი რაოდენობა: ზუგდიდი - 40%; ჩოხატაური - 39%; სენაკი - 38%; წალენჯიხა - 32%; ხონი - 30%; ხობი - 29%; ქობულეთი - 27%; თერჯოლა - 26%; ქუთაისი - 24%; ვანი - 23%; წყალტუბო - 18% (იხ. დიაგრამა #3).

დიაგრამა #3

მიგრაციის განზრახვის მაჩვენებლები მუნიციპალიტეტების მიხედვით



მიგრაციის განზრახვის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია ზუგდიდში (40%) და წალენჯიხაში (32%). ეს მუნიციპალიტეტები **გამოირჩევა დევნილი მოსახლეობის მაღალი კონცენტრაციით და კონფლიქტის გამყოფ ხაზთან სიახლოვით**, რაც აჩენს უსაფრთხოების რისკებს, ამცირებს სოციალურ-ეკონომიკურ შესაძლებლობებს და მნიშვნელოვნად ზრდის მიგრაციულ განწყობებს. ჩოხატაურში (39%) მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს მთიან მუნიციპალიტეტებში სიღარიბისა და ინფრასტრუქტურული პრობლემების სიმძიმეზე.

ქუთაისი და ქობულეთი მოსახლეობის რაოდენობითა და ეკონომიკური აქტივობის მოცულობით, შედარებით მსხვილი მუნიციპალიტეტებია, თუმცა მიგრაციის განზრახვის მაჩვენებლები (24% და 27%) თითქმის არ განსხვავდება უფრო მცირე რაიონული ცენტრებისგან, როგორებიცაა: ხონი (30%), ხობი (29%), თერჯოლა (26%). ეს მონაცემები ადასტურებს, რომ მიგრაციისკენ მიდრეკილება არ შემოიფარგლება მხოლოდ მცირე მუნიციპალიტეტებით ან ეკონომიკურად სუსტი რეგიონებით და წარმოადგენს სისტემურ გამოწვევას მთელი ქვეყნისთვის, რაც განპირობებულია არა მხოლოდ ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორებით, არამედ ზოგადი სოციალური და პოლიტიკური არასტაბილურობით,

რომელიც ერთნაირად აისახება როგორც შედარებით ურბანულ, ისე მცირე მუნიციპალიტეტებზე.

ყველაზე დაბალი მაჩვენებლები დაფიქსირდა წყალტუბოსა (18%) და ვანში (23%), რაც შეიძლება აიხსნას სოფლის მეურნეობაზე ან ადგილობრივ თვითდასაქმებაზე დაფუძნებული მინიმალური სტაბილურობით, ან იმით, რომ წინა მიგრაციულმა ტალღებმა უკვე შეამცირა მიგრაციის პოტენციური რესურსი ამ მუნიციპალიტეტებში.

თავი III. რა უბიძგებს ქალს მიგრაციისკენ? - მიზეზები

3.1. ქალთა მიგრაციის კომპლექსური მოტივები

რაოდენობრივი კვლევის შედეგები მოწმობს, რომ მიგრაციის გადაწყვეტილება, როგორც წესი, არ უკავშირდება ერთმნიშვნელოვნად მხოლოდ ეკონომიკურ საჭიროებას, არამედ წარმოადგენს სხვადასხვა სოციალური, გენდერული და სისტემური ფაქტორების კომპლექსურ სინთეზს.

493 ქალიდან, რომლებმაც მიგრაცია განიხილეს, როგორც საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესების ერთადერთი გამოსავალი, უმეტესობამ მთავარ მოტივად დაასახელა **ეკონომიკური დაუცველობა და სტაბილური შემოსავლის არქონა**, რომელმაც მიიღო ყველაზე მაღალი საშუალო ქულა (3.66) და რომელსაც მაღალი მნიშვნელობა (4 ან 5 ქულა) მიაკუთვნა რესპონდენტების თითქმის 60%-მა.

შემდეგ ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო **დასაქმების შესაძლებლობების არქონამ თემში (3.60)**, სადაც მაღალი ქულა მისცა 58.5%-მა, რაც მიუთითებს, რომ ღირსეული სამუშაოს დეფიციტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბიძგია მიგრაციის გადაწყვეტილებისთვის.

ასევე გამოიკვეთა **შვილების უკეთესი განათლებისა და მომავლის უზრუნველყოფის სურვილი (3.53 საშუალო ქულით)**, რომელსაც მაღალი შეფასება 53%-მა მისცა, რაც აჩვენებს, რომ ქალებისთვის მიგრაცია უკავშირდება არა მხოლოდ ეკონომიკურ საჭიროებას, არამედ შვილების უკეთესი მომავლის უზრუნველყოფასაც.

გარდა ამისა, მნიშვნელოვან ფაქტორებად სახელდება **დამოუკიდებელი არჩევანის შეზღუდვა (3.31)**, **ოჯახში ძალადობა ან ზეწოლა (3.22)**, **სახელმწიფოს მხარდაჭერის ნაკლებობა (3.32)** და **ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმიუწვდომლობა (3.24)**. თითოეულ მათგანს რესპონდენტთა 40-48% აძლევს მაღალ შეფასებას, რაც მიუთითებს, რომ მიგრაციის განწყობები მრავალფაქტორულია და მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და უფლებრივ განზომილებებს.

ასევე გამოიკვეთა **ზრუნვის ტვირთის (3.17), სოციალური სერვისების მიუწვდომლობის (3.12)** და **გამყოფ ზოლთან ცხოვრების (3.15)** მნიშვნელობა, ხოლო **მიგრირებული ოჯახის წევრების გავლენა (3.25)** და **მიგრაციის პოზიტიური მაგალითები თემში (3.27)** აჩვენებს, რომ მიგრაციის გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს როგორც ოჯახის გამოცდილება, ასევე თემში მიგრაციის ნორმალიზაციის ტენდენცია (იხ. ცხრილი #5).

ცხრილი #5

	ფაქტორი / პირობა	1	2	3	4	5	საშუალო ქულა
1	ეკონომიკური დაუცველობა და სტაბილური შემოსავლის არქონა	8.6%	11.6%	20.0%	25.6%	34.2%	**3.66**
2	დასაქმების შესაძლებლობების არარსებობა თემში	7.4%	12.8%	21.2%	29.6%	28.9%	**3.60**
3	ოჯახში ძალადობა ან ზეწოლა	9.1%	16.1%	33.2%	26.5%	15.1%	**3.22**
4	დამოუკიდებელი არჩევანის შეზღუდვა და პიროვნული თავისუფლების ნაკლებობა	8.1%	20.2%	28.4%	27.4%	16.0%	**3.31**
5	სოციალური სერვისების მიუწვდომლობა (ბაღი, სკოლა)	12.8%	19.1%	26.8%	26.5%	14.7%	**3.12**
6	სახელმწიფოს ან ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობა	9.6%	17.2%	25.1%	28.4%	19.6%	**3.32**
7	შშმ პირებზე ან ხანდაზმულებზე ზრუნვის ტვირთი	11.2%	17.9%	28.2%	27.7%	14.9%	**3.17**
8	ჯანმრთელობის სერვისების მიუწვდომლობა	9.8%	15.8%	31.6%	25.8%	17.0%	**3.24**
9	გამყოფ ზოლთან ცხოვრება, იზოლაცია და უსაფრთხოების ნაკლებობა	11.4%	17.9%	29.6%	26.3%	14.7%	**3.15**
10	შვილების უკეთესი განათლებისა და მომავლის უზრუნველყოფის სურვილი	7.4%	12.6%	27.0%	25.6%	27.4%	**3.53**
11	მიგრირებული ოჯახის წევრების წნეხი ან გავლენა გადაწყვეტილებაზე	9.1%	16.0%	31.8%	27.5%	15.6%	**3.25**
12	მიგრაციაზე პოზიტიური მაგალითების სიმრავლე თემში	8.8%	16.7%	30.0%	28.1%	16.5%	**3.27**

თვისებრივი კვლევის მონაცემები კარგად ავსებს რაოდენობრივ შედეგებს და გვაჩვენებს, როგორ აღწერენ ქალები საკუთარ გამოცდილებებში მიგრაციის მიზეზებს. მათ ნარატივებში ყველაზე ხშირად ფიგურირებდა შემდეგი ფაქტორები:

მიგრაცია, ძალადობისგან და ოჯახური წნეხისგან დაღწევის გზა: ერთ-ერთი ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზია **ოჯახში ძალადობა და ქალის სისტემური უუფლებობა.** რესპონდენტებისთვის ემიგრაცია ხშირად წარმოადგენს მოძალადე მეუღლის-

გან თავის დაღწევის საშუალებას - ***„ქალი გაექცა მოძალადე ქმარს, არჩია მოძალადის რჩენის პასუხისმგებლობა აეკიდა მხრებზე, ვიდრე ეთმინა“.*** მიგრაციის მიზეზად არაერთხელ დასახელდა ოჯახში უთანასწორობისგან, დაკნინებული მდგომარეობისგან და კონფლიქტებისგან განრიდების საშუალება. მიუხედავად იმისა, რომ არალეგალური მიგრაცია დამატებით რისკებს და დაუცველობას ქმნის, ქალები ხშირად მასაც თანხმდებიან, რათა თავი დააღწიონ ფსიქოლოგიურ წნეხს და ოჯახურ ჩაგვრას, რომელიც მათ არსებობას აუტანელს ხდის - ***„ურჩევნია სხვაგან წავიდეს და იშრომოს, ვიდრე იმ წნეხს გაუძლოს რაშიც იმყოფება. ერთი და ორი კი არ ვიცი ასეთი, ძალიან ბევრი შევამჩნიე. 50 წასული ქალიდან 30 არის ასეთი მდგომარეობიდან წასული და გაქცეული.“***

თვითრეალიზაციის მოთხოვნილება და საკუთარი მნიშვნელობის წარმოჩენა: ქალებისთვის მიგრაცია ხშირად პიროვნული თავისუფლების მოპოვების და თვითრეალიზების მცდელობაცაა. **ქალები ტოვებენ გარემოს, სადაც მათი აუნაზღაურებელი შრომა დაუფასებელია.** ისინი თითქოს ცდილობენ საკუთარი სტატუსის ამაღლებას და იმის დამტკიცებას, რომ შეუძლიათ თავად იყვნენ რესურსის *შემქმნელები* - ***„როცა ადრე ქალი სახლში იყო, არ იყო დაფასებული ოჯახიდან, დღეს, როცა ის არის ემიგრაციაში და არის ოჯახის ძირითადი მარჩენალი, გახდა მეტად დაფასებული თითქოს“.***

ჯანმრთელობის დაცვა და შესაბამისი სამედიცინო მომსახურების ხელმიუწვდომლობა: მიგრაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ჯანმრთელობას უკავშირდება. ქალები ხშირად მიმართავენ მიგრაციას, როცა **ბავშვი ან ოჯახის წევრი საჭიროებს სამედიცინო მომსახურებას, რომელიც საქართველოში არ არის ხელმისაწვდომი, ან უკიდურესად ძვირადღირებულია.** რესპონდენტების თქმით, საქართველოში არ აქვთ ის სამედიცინო მომსახურება და ხარისხი, რაც მათ სჭირდებათ შშმ პირების ან ავადმყოფი ოჯახის წევრების სამკურნალოდ ან რეაბილიტაციისთვის. ამიტომ ხდებიან იძულებულნი, ეძიონ შესაბამისი სამედიცინო მომსახურება ევროპულ ქვეყნებში, განსაკუთრებით - საფრანგეთში - ***„ჯანმრთელობის პრობლემების გამო ემიგრაციაში წასვლაც საკმაოდ ხშირია, როცა ოჯახში ჰყავთ რთული პაციენტი და საქართველოში ვერ წვდებიან ჯანდაცვის პროგრამით იმ სერვისებს და ხარჯებს, რაც აქ უნდა მიეღოთ და ვერ იღებენ... რა თქმა უნდა, იძულებულები არიან, ეძებონ ალტერნატივა, და მიდიან მთელი ოჯახით ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით - საფრანგეთში“.*** *ბევრისთვის* ეს გადაწყვეტილება განპირობებულია არა კეთილდღეობის მიღწევის სურვილით, არამედ სამედიცინო სერვისებზე ელემენტარული ხელმისაწვდომობის არარსებობით, რადგან ამ ქალებს მიგრაციაშიც რთულ პირობებში უწევთ ცხოვრება - ***„მყავს ერთი ახლობელი ქალი, რომელიც საფრანგეთში წავიდა შვილის ჯანმრთელობის გამო და „პალატკაში“ ცხოვრობს, საშინელ პირობებში იმისთვის, რომ მისმა შვილმა მიიღოს ადეკვატური სამედიცინო სერვისი, რაც საქართველოში უზარმაზარ თანხებთან იყო დაკავშირებული და ვერ გაწვდებოდა, როგორც მარტოხელა დედა... შესაძლოა, არაღირსეულ საცხოვრებელ პირობებში უწევდეს ცხოვრება, მაგრამ არჩევანს აკეთებს სამედიცინო უფასო სერვისებსა და ნორმალურ საცხოვრებელ პირობებს შორის“.***

არსებობენ ქალები, რომლებსაც **უწევთ საწოლს მიჯაჭვული ოჯახის წევრების მოვლა, რაც მთლიანად ზღუდავს მათი დასაქმების შესაძლებლობას**. არსებული დაბალი ხელფასები საკმარისი არ არის მომვლელის დასაქირავებლად. ამიტომ ზოგიერთი მიგრაცი-

ას ირჩევს, რომ **გამომუშავებული თანხით გადაუხადოს მომვლელს, თავადაც იმუშაოს და ოჯახისთვის საჭირო დანაზოგიც გააკეთოს** - ***„მწოლიარე ჰყავს სახლში, თვითონ ვერ მუშაობს. ან რა ხელფასი უნდა მიიღოს აქ, რომ სხვას უხადოს მოვლისთვის. მიდის მიგრაციაში, იქიდან აგზავნის ფულს, რომ ავადმყოფს აქ მომვლელი დაუქირაოს, წამალი უყიდოს და დანაზოგიც გააკეთოს“.***

ეკონომიკური ფაქტორი, როგორც მიგრაციის წამყვანი მიზეზი: ქალთა მიგრაციის განზრახვა ხშირად უკავშირდება სიღარიბისგან თავის დაღწევის და ოჯახისთვის ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის საჭიროებას. რესპონდენტები მიუთითებენ, რომ რეგიონებში არ არსებობს გრძელვადიანი და ღირსეული ანაზღაურების შესაძლებლობა, რის გამოც მუდმივად ფინანსური დაუცველობის რისკის წინაშე დგანან - ***„აქ არ მაქვს შანსი ნორმალური შემოსავლის, იქ კი ვიმუშავებ და რამეს მივაღწევ.“*** მიგრაცია ქალებისთვის ხშირად **საბანკო ვალების გასტუმრების ან შვილებისთვის განათლების დაფინანსების** ერთადერთი გზაა - ***„აქ რომ ვიმუშაო, დღეში ათი ლარი თუ მექნება... ბავშვებს კი სწავლა უნდათ, ტანსაცმელი... ალბათ ამიტომაც ფიქრობს ბევრი მიგრაციაზე“; „სამუშაო მჭირდება, რომ ოჯახი ვარჩინო, აქ ვალსაც ვერ გადავიხდი... მიგრაცია ერთადერთი გამოსავალია.“*** მიგრაციის გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს **ლუდომანიაც,** განსაკუთრებით - ახალგაზრდებში. რესპონდენტების თქმით, ქალები ხშირად იძულებულნი ხდებიან, მიგრაციაში წავიდნენ, რათა დაფარონ აზარტულ თამაშებში ჩათრეული ოჯახის წევრების დაგროვილი ვალები - ***„ისე გავრცელდა აზარტულ თამაშებში ჩათრეული ახალგაზრდების და კაცების რიცხვი, რომ ქალი მიგრაციაში ოჯახის სარჩენად კი არა, ამ ვალების გადასახდელად მიდის“.*** ბევრი ქალი იძულებულია, გაყიდოს საცხოვრებელი და ემიგრაციაში წავიდეს, არა იმიტომ, რომ ეს სურს, არამედ იმიტომ, რომ ***„აქ ვეღარ დასაქმდებიან“*** და ***„სხვა გზა აღარ დარჩათ“***. გარდა ამისა, იკვეთება სესხის აღების შემთხვევები ისეთ მიზნებზე, რომლებიც საბაზისო საჭიროებებს არ ეხება, მაგრამ საზოგადოებაში აუცილებლობად ითვლება, მაგალითად, **ბავშვების გამოსაშვები საღამოს ხარჯები,** რაც თავად რესპონდენტების შეფასებით, უკიდურესად არარაციონალურია, მაგრამ ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა - ***„ყოველწლიურად მეტი და მეტი ქალი მიდის მიგრაციაში შვილის ბანკეტების წინ. 5000-6000 ლარი ჯდება ერთი შვილის ბანკეტი. ეს ხომ ნორმალური არ არის ამდენი თანხის დახარჯვა ერთი დღისთვის?! მე ცოტა არასწორი საქციელი მგონია ის, რომ ბანკეტის გამო წავიდეს ქალი მიგრაციაში“.***

პოლიტიკური არასტაბილურობა: პოლიტიკური არასტაბილურობა, ეკონომიკური სტაგნაცია და მმართველობითი პროცესებისადმი უნდობლობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალების მიგრაციულ განწყობებზე. ეს მიგნებები განსაკუთრებით მკვეთრად იკვეთება იმ რეგიონებში, სადაც საჯარო სექტორში დასაქმებული ქალები მასობრივად კარგავენ სამსახურს პოლიტიკური შეხედულებების და პოზიციის გამო. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ***„უამრავი საჯარო მოხელე დარჩა სამსახურის გარეშე, ქალები, რომლებიც თავს რეალიზებულად გრძნობდნენ.“*** ის თავადაც აღმოჩნდა ასეთ მდგომარეობაში, ხელშეკრულება არ გაუგრძელდა საჯარო სამსახურში და ახლა ეძებს გზას, შვილი დროებით სხვა ქვეყანაში გადაიყვანოს, რათა ***„ადამიანობისგან დაცლილი და საზიზღარი“*** გარემოსგან დაიცვას.

3.2. სერვისებზე ხელმიუწვდომლობა, როგორც მიგრაციის სტრუქტურული წინაპირობა

კვლევამ აჩვენა, რომ ქალებისთვის მიგრაციის ერთ-ერთი მთავარი სტრუქტურული წინაპირობა სოციალურ სერვისებზე ხელმიუწვდომლობაა:

სერვისების შესახებ არასაკმარისი ინფორმირება: ბევრ ქალს არ აქვს ინფორმაცია არსებული სერვისების შესახებ, განსაკუთრებით - სოფლებში მცხოვრებ ქალებს. ადგილობრივი თვითმმართველობა ხშირად ვერ ასრულებს ინფორმაციის გამავრცელებლის ფუნქციას. ბევრს არ აქვს ინტერნეტზე წვდომა ან საჭირო ტექნოლოგიური უნარები, რომ თავად მოიძიოს ინფორმაცია. შედეგად, ამ ფუნქციას, ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციები ითავსებენ - ***„რომ არა ფონდი „სოხუმი“, ვერასდროს გავიგებდი, რომ, როგორც ძალადობის მსხვერპლს, რაიმე შემეძლო მიმეღო“.***

ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სუსტი სისტემა: რეგიონებში ფსიქოლოგიური მომსახურება ან საერთოდ არ არის, ან მხოლოდ ერთჯერადი კონსულტაციით შემოიფარგლება, რაც კრიზისის დროს საჭირო თერაპიულ დახმარებას ვერ უზრუნველყოფს. მუნიციპალიტეტებს ხშირად ფსიქოლოგიც კი არ ჰყავთ, ან ჰყავთ მხოლოდ ფორმალურად.

თავშესაფრების და კრიზისული ცენტრების ნაკლებობა: სამეგრელოში არ ფუნქციონირებს სახელმწიფო თავშესაფრები ან კრიზისული ცენტრები, ქალებს სერვისებისთვის ქუთაისში უწევთ წასვლა. წარსულში არსებული არასამთავრობო თავშესაფარიც დაფინანსების გარეშე დარჩა. თავშესაფრის არარსებობა ხშირად აიძულებს ქალებს, დარჩნენ მოძალადესთან, ან მიგრაციაზე იფიქრონ.

საცხოვრებლის არქონა: საცხოვრებლის არარსებობა ძალადობისგან გაქცეული და განქორწინებული ქალებისთვის მიგრაციის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სახელდება. კვლევამ აჩვენა, რომ უმეტესობას **არ აქვს საკუთრებაში ბინა და ხშირად არც მემკვიდრეობით საკუთრებაზე წვდომა.** ერთადერთი ალტერნატივა მშობლების ან ნათესავების ოჯახში დროებით დაბრუნებაა, თუმცა ესეც ყოველთვის შესაძლებელი არ არის, რადგან ოჯახები ქალების მიღებაზე უარს აცხადებენ.

მუნიციპალიტეტების ერთჯერადი დახმარება (100-800 ლარი) ან **დროებითი ქირით უზრუნველყოფა** (200-500 ლარი) ვერ უზრუნველყოფს მათთვის გრძელვადიან და საჭიროებებზე მორგებულ საცხოვრებელ მხარდაჭერას. **მოკლევადიანი დახმარება ვერ პასუხობს ქალების რეალურ საცხოვრებელ და საყოფაცხოვრებო საჭიროებებს,** განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ ოჯახისა და შვილების რჩენის მთელი ტვირთი აწევთ.

გარდა ამისა, საბინაო მხარდაჭერას ხშირად ბიუროკრატიული ბარიერები ზღუდავს. **რეგისტრაციის არქონის გამო** ბინის ქირის სუბსიდიას ვერ იღებენ ქალები, რომლებიც ძალადობისგან თავის დასაღწევად სხვა მუნიციპალიტეტში გადავიდნენ. დაცული საცხოვრებლის არარსებობა მიგრაციას მათთვის იძულებით გადარჩენის გზად აქცევს.

სერვისების ხანმოკლე ხასიათი და მათი კრიზისზე რეაგირების მოკლევადიანი ლოგიკა კიდევ უფრო ამცირებს მათდამი ნდობას - ***„თუ ბავშვიანი ოჯახისთვის მთელი დახმარება 100 ლარია საკანცელარიო ნივთებზე ერთჯერადად და 30 ლარი თვეში, ამას მხარდაჭერის პროგრამა ვერ დაერქმევა“.***

პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების პროგრამები არ პასუხობს ქალების რეალურ საჭიროებებს. მათთვის ნაკლებად მიმზიდველია ისეთი პროგრამები, რომლებიც არ იძლევა შემდგომი დასაქმების გარანტიას. ასევე, ხშირია ისეთი გარემოება, როდესაც ქალს არ აქვს ფიზიკურად დრო კურსზე დასასწრებად, რადგან ოჯახური მოვალეობებითაა გადატვირთული;

სოციალური დახმარების და დასაქმების პროგრამების არაეფექტიანობა სოციალურად დაუცველი ქალებისთვის: სახელმწიფო დასაქმების პროგრამები ვერ უზრუნველყოფს სოციალურად დაუცველი ქალების ეკონომიკურ გაძლიერებას. დაბალანაზღაურებადი სამუშაოები (300 ლარამდე), რომელთაც ისინი იღებენ, მხოლოდ სოციალური დახმარების შესანარჩუნებლადაა გათვლილი და ვერ ქმნის სიღარიბიდან გამოსვლის რეალურ შესაძლებლობას. შედეგად, ქალები მუდმივ ეკონომიკურ დაუცველობასა და დახმარებაზე დამოკიდებულებაში რჩებიან - ***„სახელმწიფო სოციალურად დაუცველებს ასაქმებს ისეთ ადგილებზე, სადაც ხელფასი 300 ლარს არ აჭარბებს, რომ სოციალური დახმარება არ დაკარგონ. მაგრამ ამ თანხით ოჯახს ვერ შეინახავ – მხოლოდ გზის და ყოველდღიური ხარჯებისთვის კმარა.“***

თავი IV. ინტერსექციური მოწყვლადობა, როგორც მიგრაციის დამატებითი გამომწვევი ფაქტორი

ქალთა მიგრაციის მიზეზების ანალიზში აუცილებელია **ინტერსექციური მოწყვლადობის გათვალისწინება,** როდესაც ერთ ადამიანზე ერთდროულად მოქმედებს რამდენიმე მძიმე სოციალური სტატუსი, მაგალითად, დევნილობა, გამყოფ ზოლთან ცხოვრება, მარტოხელა მშობლობა ან შშმ პირის მოვლა.

რაოდენობრივი კვლევა ნათლად აჩვენებს, რომ რაც უფრო მაღალია ქალის სოციალური მოწყვლადობა, მით უფრო განიხილავს მიგრაციას გამოსავლად. განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელია გამყოფი ხაზის სოფლებში მცხოვრებ (38%), დევნილ (35%) და სოციალურად დაუცველ (34%) ქალებში.

თვისებრივი კვლევა ცხადყოფს, რამდენად აძლიერებს ინტერსექციური მოწყვლადობა მიგრაციის გადაწყვეტილებას, მათ შორის:

<u>დევნილობა:</u> დევნილობა მნიშვნელოვნად ზრდის ქალების მოწყვლადობას. საბინაო პრობლემა დევნილებისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება - 292.887 დევნილიდან დაახლოებით 92 000 ანუ 45 000 ოჯახი კვლავ ბინის მოლოდინშია.

ამ მდგომარეობას განსაკუთრებით ამძიმებს დევნილთა კოლექტიურ დასახლებებში მძიმე საცხოვრებელი პირობები, ფართის სიმჭიდროვე, ჰიგიენის ნაკლებობა და განსახლების გაჭიანურებული, გაუმჭვირვალე პროცესი, რაც დევნილებს მუდმივ დაუცველობაში ამყოფებს. ისინი წლებია, რიგში დგანან და არ იციან, როდის მიიღებენ ბინას - ***„გვახსოვს ყველას ბოლო შემთხვევა, როცა ახალგაზრდა კაცმა თავი დაიწვა სამინისტროს წინ, ესეც იმის მაგალითია, რომ დევნილები გაუსაძლის მდგომარეობაში არიან... გან-***

სახლების პროცესი უნდა იყოს დასრულებული, 33 წლის მერე აღარ უნდა არსებობდნენ დევნილები, რომლებიც რიგში დგანან და საკუთარ ჭერს ელოდებიან.“

დევნილობის დიდი ნაწილი დღემდე ქირით, ზოგჯერ ნათესავების ან მეგობრების საცხოვრებელ ფართში ცხოვრობს - ***„წლებია, ქირით ვცხოვრობთ, მაგრამ არასოდეს ვიქეცით განსახლების პრიორიტეტად... ბინები მათ მისცეს, ვისაც უკვე ჰქონდა“.***

თუმცა ბინის მიღებაც არ ნიშნავს სტაბილურობას. სახელმწიფოს მიერ გადაცემული ბინები ხშირად ცარიელია, ავეჯისა და ტექნიკის გარეშე, რის გამოც ბევრი ქალი იძულებულია, ემიგრაციაში წავიდეს, რომ საჭირო ნივთები შეიძინოს და მინიმალური პირობები შექმნას ოჯახისთვის - ***„დაგვირიგეს ბინები, მაგრამ რომ შევსულიყავით საცხოვრებლად, არანაირი საშუალება არ გვქონდა. ავეჯი, ტექნიკა, ელემენტარული პირობებიც კი არ იყო. ამიტომ მომიწია წასვლა.“***

კვლევამ აჩვენა, რომ გადაცემული ბინები ხშირად ვერ აკმაყოფილებს ოჯახების საჭიროებებს. ერთ შემთხვევაში ფართი შვილის ოჯახისთვის იყო საკმარისი, მაგრამ მშობლის განსათავსებლად აღარ იყო ადგილი, რის გამოც მას მიგრაციაში წასვლა მოუწია საკუთარი საცხოვრებლის უზრუნველსაყოფად - ***„როგორ უნდა ვიცხოვროთ რამდენიმე ოჯახი ორ ოთახში... რატომ უნდა შევიჭრა შვილის ოჯახში? სახელმწიფო ამაზე არ ფიქრობს... დაარიგებს ბინებს, რომლებიც არ გვყოფნის და გვარწმუნებს, რომ პრობლემა გადაწყვიტა“.***

ამრიგად, დევნილთა განსახლების არსებული სისტემა ხშირად ხდება მიგრაციის მიზეზი. დევნილი ქალები იძულებულნი ხდებიან, მიიღონ ქვეყნის დატოვების გადაწყვეტილება არა უკეთესი ცხოვრების საძიებლად, არამედ მინიმალური საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად.

<u>კონფლიქტის გამყოფ ზოლში მცხოვრები ქალების გაზრდილი მოწყვლადობა:</u> კონფლიქტის გამყოფ ზოლთან მდებარე დასახლებები გეოგრაფიულად იზოლირებული რეგიონებია, სადაც მნიშვნელოვნად მაღალია ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალების, სოციალური და ეკონომიკური დაუცველობის ხარისხი. ამ თემებში მცხოვრები ადამიანები ხშირად მოწყვეტილნი არიან საბაზისო სერვისებს და ცხოვრობენ ისეთ პირობებში, რომლებიც ვერ პასუხობს მათ ელემენტარულ საჭიროებებს.

ამ რეგიონებში მრავალი სოფელი მოკლებულია საბაზისო ინფრასტრუქტურას: საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემურ მომსახურებას, აფთიაქებისა და სასურსათო მაღაზიების ხელმისაწვდომობას, პირველადი სამედიცინო მომსახურების ცენტრებს, დასაქმების შესაძლებლობას, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მიგრაციის მოტივაციას - ***„სოფელში დარჩნენ 70 წელს ზევით ქალები, ხოლო ახალგაზრდები თითზე ჩამოსათვლელია... სოფელს ახალგაზრდა არ ჰყავს. უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდები არა მხოლოდ საზღვარგარეთ მიდიან, არამედ მაღალია სოფლიდან შიდა მიგრაციაც. ქალაქში მიდიან, სწავლობენ, იწყებენ მუშაობას და მერე უკან აღარ ბრუნდებიან... აქ არანაირი პერსპექტივა აღარ არის და, შესაბამისად, ასე დავრჩით მარტო ასაკოვნები... ასე თუ გაგრძელდება, მალე ჩვენც მოგვიწევს წასვლა და აქაურობაც დაიცლება“*** (ხურჩა, გამყოფი ზოლი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).

<u>განქორწინებული და მარტოხელა დედების სტატუსი და სტიგმა:</u> განქორწინებულ ქალებს ხშირ შემთხვევაში არ ენიჭებათ მარტოხელა მშობლის სტატუსი, რაც ართულებს მათ წვდომას სოციალურ პროგრამებზე. ხშირია შემთხვევები, როდესაც ქალი იძულებულია, შვილები დატოვოს ბებიასთან ან და-ძმასთან, თავად კი მიგრაციაში წავიდეს. ამასთან ერთად, პატრიარქალური მემკვიდრეობითი სისტემა ქალს ხშირად ტოვებს საკუთრების გარეშე, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მის მოწყვლადობას. მშობლიურ ოჯახში განქორწინებული ქალის დაბრუნება ხშირ შემთხვევაში *„დამადლებული თავშესაფარია“*, რომელიც ღირსების შელახვასაც უკავშირდება. გარდა ამისა, განქორწინებული ქალი ქართულ საზოგადოებაში ხშირად „დამნაშავედ“ აღიქმება განსაკუთრებით სოფლებსა და დიდ ქალაქებს მოშორებულ ტრადიციულ დასახლებებში, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ეს გადაწყვეტილება ქალისთვის ძალადობისგან თავის დაღწევის ერთადერთი გზაა. ტრადიციული ნორმების მიხედვით, ქალის ღირსება ოჯახის შენარჩუნებასთან ასოცირდება, რის გამოც განქორწინება საზოგადოებრივად არ არის აღქმული, როგორც ლეგიტიმური გამოსავალი. შედეგად, ქალი ხვდება შეფასებების, კრიტიკისა და სტიგმის ობიექტი ნათესავების, მეზობლებისა და ხშირად საკუთარი ოჯახის მხრიდანაც კი. ეს სოციალური წნეხი კიდევ უფრო ამძაფრებს ქალების იზოლაციას და უბიძგებს მათ მიგრაციისკენ.

შშმ პირებზე ზრუნვის ტვირთი: თუ ოჯახში შშმ პირია, როგორც წესი, მის მოვლასა და მხარდაჭერას ქალი იღებს საკუთარ თავზე, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ამის რესურსი. სახელმწიფო სერვისების არარსებობის პირობებში დედები იძულებულნი არიან, წავიდნენ ემიგრაციაში, რათა ფინანსურად უზრუნველყონ შვილების რეაბილიტაცია, მედიკამენტები და ყოველდღიური დახმარება - ***„სერვისი არ არის ჩვენს მუნიციპალიტეტში... მშობელს უწევს თანხის დამატება, კვება, ტაქსი... ურჩევნია, წავიდეს, ვინმეს დაუტოვოს შვილი, თვითონ სხვას მოუაროს ევროპაში და შვილს იქედან შეუქმნას შესაბამისი პირობები მკურნალობისთვის“.***

თავი V. ქალების მხრიდან მიგრაციის აღქმა და საზოგადოებრივი დამოკიდებულებები

კვლევა ნათლად აჩვენებს, როგორ აღიქვამენ თავად ქალები მიგრაციას, როგორც მრავალდონიან გამოცდილებას და როგორ აფასებს საზოგადოება მათ არჩევანს, სადაც კვლავ მძაფრად ვლინდება გენდერული სტიგმა და მიკერძოებული დამოკიდებულებები.

5.1. როგორ აღიქვამენ ქალები მიგრაციას

კვლევა ცხადყოფს, რომ მიგრაცია ქალებისთვის არა მხოლოდ ეკონომიკური შესაძლებლობაა, არამედ იძულებითი და ემოციურად რთული არჩევანი, რომელიც დაკავშირებულია ქვეყანაში არსებულ ჩიხურ მდგომარეობასთან, ზრუნვის ტვირთთან და სოციალური მხარდაჭერის დეფიციტთან.

ყველაზე ხშირად მიგრაცია აღიქმება როგორც უსაფრთხოების უზრუნველყოფის მცდელობა საკუთარი თავისა და შვილებისთვის (49.8%) ან მძიმე პირობებიდან თავის დაღწევის იძულებითი გზა (45.1%). 42.5% მას თავისუფლებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესაძლებლობად მიიჩნევს.

ერთდროულად ქალები აცნობიერებენ მიგრაციასთან დაკავშირებულ რისკებსაც. 23% ასახელებს ოჯახთან განშორებას, 21.8% - მარტოობასა და ფსიქოლოგიურ სირთულეებს, 20.7% ხაზს უსვამს უცხო გარემოში ცხოვრების საფრთხეს, ხოლო 13.5% - სოციალური კავშირების დაკარგვის რისკს.

26.5% მიგრაციას განიხილავს, როგორც იძულებით ნაბიჯს ქვეყანაში გამოსავლის არარსებობის გამო, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს სისტემური მხარდაჭერის სიმწირეზე და იმ უიმედობის განცდაზე, რომელიც მიგრაციის გადაწყვეტილებას განსაზღვრავს.

5.2. საზოგადოების დამოკიდებულება მიგრაციაში წასული ქალების მიმართ

მიუხედავად იმისა, რომ ქალების მიგრაცია საზოგადოებაში ნორმად იქცა და აღარ იწვევს გაკვირვებას, ის მაინც რჩება სტიგმებისა და გენდერულად მიკერძოებული შეფასებების სამიზნედ. ქალის მიგრაცია ხშირად არ აღიქმება, როგორც მძიმე ეკონომიკური და სოციალური რეალობიდან დაღწევის გარდაუვალი ნაბიჯი, არამედ განიხილება, როგორც *„თავისუფლების“* ან: ***„ოჯახური ვალდებულებებისგან თავის არიდების სურვილი“.***

საზოგადოების ერთი ნაწილი მიგრირებულ ქალებს გმირებად აღიქვამს, რომლებიც თავგანწირვით შრომობენ ოჯახის სარჩენად. თუმცა, **ასევე გავრცელებული სტერეოტიპული აღქმაა, რომ ქალები მიგრაციაში „თავისუფალი ცხოვრების“ საძიებლად მიდიან, ან არასწორი გზით შოულობენ ფულს.** ასეთი დამოკიდებულება განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება მაშინ, როდესაც მიგრირებული ქალი სოციალურ მედიაში ლაღად და კარგად ჩაცმულად გამოჩნდება. საზოგადოება უგულებელყოფს მის მძიმე შრომას და ემოციურ ტვირთს და კრიტიკის ქარ-ცეცხლში ახვევს - ***„თუ ქალმა დადო ისეთი ფოტო, რომელშიც ლაღია და მოვლილი, უკვე მთელი ნეგატივი მიდის ამ ქალისკენ. რა დღე გაუთენდა, რა ეღირსა, თვითონ „გულაობს“, აქეთ კი ოჯახი მიატოვა. იმას კი არავინ უყურებს, რომ მისი ქმარი „ბლატაობს“ ცოლის გამოგზავნილი ევროებით. სასტიკი არის საზოგადოება ქალის მიმართ. სამწუხაროა, რომ თავად ქალები განიკითხავენ ქალებს“.***

მიგრაციის საკითხზე საზოგადოებრივი დისკურსი ხშირად მოიცავს კითხვას: „რატომ არ ბრუნდებიან ქალები მიგრაციიდან?“ ეს შეკითხვა უგულებელყოფს იმ სისტემურ და სოციალურ გარემოებებს, რომლებმაც ქალები მიგრაციაში წასვლის გადაწყვეტილებამდე მიიყვანა და დღესაც არ ტოვებს სივრცეს ღირსეული დაბრუნებისთვის. **რეინტეგრაციის შესაძლებლობა უმრავლესისთვის ილუზორულია, მხარდაჭერის პროგრამების ნაკლებობის, არასაკმარისი სოციალური სერვისების და უსაფრთხო გარემოს არასათანადო უზრუნველყოფის გამო. ზოგიერთ შემთხვევაში, თავად ოჯახები აღარ იჩენენ სურვილს ქალის დასაბრუნებლად.** წლების განმავლობაში ოჯახის ყოველდღიური ცხოვრება და ფინანსური სტაბილურობა მთლიანად ემიგრაციაში მყოფი ქალის შრომასა და მის მიერ გამოგზავნილ თანხებზე დამყარდა. ასეთ გარემოში ქალის ფიზიკური

დაბრუნება აღიქმება არა როგორც ოჯახთან ერთიანობის აღდგენის შესაძლებლობა, არამედ როგორც საფრთხე უკვე დამკვიდრებული კომფორტული ეკონომიკური სტატუს-კვოსთვის, რაც უკიდურესად აფერხებს როგორც ქალის დაბრუნებას, ასევე რეინტეგრაციის პროცესს.

თავი VI. მიგრაციის ნეგატიური შედეგები დარჩენილ ოჯახის წევრებზე

კვლევის პროცესში ნათლად გამოიკვეთა მიგრაციის მრავალი ნეგატიური შედეგი ოჯახების იმ წევრებზე, რომლებიც საქართველოში რჩებიან. განსაკუთრებით თვალშისაცემია ურთიერთობების დარღვევა და ფსიქოსოციალური მდგომარეობის გაუარესება, რაც ყველაზე მძიმედ აისახება ბავშვებსა და მოზარდებზე.

ურთიერთობების რღვევა და ემოციური გაუცხოება: ემიგრირებულ ქალსა და მის შვილებს შორის ხშირად იკვეთება ემოციური დისტანცია და გაუცხოება, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ართულებს მათ შორის კავშირს. ასევე ხშირია მეუღლესთან კონტაქტის გაწყვეტა, რაც ოჯახის დაშლის წინაპირობას ქმნის. ეს პროცესი თანდათანობით იწვევს ოჯახის წევრებთან გაუცხოებას და ქალის პოზიციის დაკნინებას მისივე ოჯახურ სივრცეში.

ბავშვთა ფსიქოლოგიური გამოწვევები: ემიგრაციაში მყოფი დედების შვილები ხშირად განიცდიან „მიტოვებას“, რაც იწვევს შინაგან აგრესიას, ქცევით პრობლემებს და ზოგჯერ - სწავლის მიმართ ინტერესის დაკარგვას.

ქალის შრომის ექსპლუატაცია: გარკვეულ შემთხვევებში, ოჯახის წევრები ქალის მიგრაციას აღიქვამენ, როგორც ფინანსური კეთილდღეობის გარანტიას და ცდილობენ ამ მდგომარეობის შენარჩუნებას. რესპონდენტებთან დისკუსიებში იკვეთება მაგალითები, სადაც ქალი დაბრუნების შემდეგ არ მიუღია ოჯახს, რადგან ეს მათთვის ფინანსური კეთილდღეობის დაკარგვასთან ასოცირდება - „ვინ არჩენს მერე?“. იქმნება მოცემულობა, როცა მიგრაცია ნორმალიზებულია, როგორც ქალის პასუხისმგებლობა, ხოლო მისი შრომა აღქმულია, როგორც რესურსი, რომლის გამოყენებაც უსასრულოდ შეიძლება.

მარტივი ფულის ეფექტი და დამოკიდებულებები: საგანგაშო ტენდენციად გამოიკვეთა ოჯახის წევრების დამოკიდებულება ე.წ. „მარტივ ფულზე“. ემიგრირებული ქალის შრომა და გამომუშავებული ფინანსური რესურსი ხშირად აღიქმება, როგორც სტაბილური შემოსავლის წყარო. ამ თანხებზე დამოკიდებულება ზოგჯერ იწვევს უმოქმედობას, რაც რიგ შემთხვევებში საზიანო ქცევით ნორმებად ყალიბდება: ლუდომანია, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი და პასუხისმგებლობისგან თავის არიდება. რესპონდენტები ხშირად მიუთითებენ მიგრირებული ქალების შვილებისა და მეუღლეების დამოკიდებულებაზე აზარტულ თამაშებზე, ალკოჰოლზე და ნარკოტიკზე. ეს ტენდენცია მოწმობს, რომ მიგრაციაზე დამოკიდებულმა ოჯახურმა მოდელებმა, შესაძლოა, ხელი შეუწყოს დესტრუქციული ქცევის ჩამოყალიბებას და სოციალური დეგრადაციის პროცესს.

თავი VII. მიგრაციის შემცირების სტრატეგიები

კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი შედეგები აჩვენებს, რომ მიგრაციის შემცირება ქალებისთვის მჭიდროდ უკავშირდება ეკონომიკური და სოციალური მხარდაჭერის სისტემურ გაძლიერებას.

ქალთა მიგრაციის პრევენცია მოითხოვს **კომპლექსურ და ინტეგრირებულ მიდგომას**, რომელიც ერთდროულად უპასუხებს როგორც **ეკონომიკურ**, ასევე **სოციალურ, ზრუნვის, ფსიქოლოგიურ და სტრუქტურულ გამოწვევებს**. რაოდენობრივმა და თვისებრივმა მონაცემებმა ერთნაირად წარმოაჩინა, რომ **მიგრაცია ქალებისთვის იძულებითი არჩევანია**, რომელშიც გარდამტეხ როლს ასრულებს **ღირსეული დასაქმების, სოციალური მხარდაჭერისა და უსაფრთხო გარემოს დეფიციტი**.

ეკონომიკური გაძლიერება და დასაქმება

რესპონდენტების ყველაზე დიდი ნაწილი (50.9%) მიგრაციის პრევენციის ძირითად საშუალებად ასახელებს ადგილობრივი დასაქმების შესაძლებლობების შექმნას, რასაც მოჰყვება ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ინიციატივები (45.8%). ამასთან ერთად, თითქმის მესამედი ქალებისა (28.9%) მნიშვნელოვან მექანიზმად მიიჩნევს პროფესიულ სწავლაზე ხელმისაწვდომობას. ქალები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ:

- ⇨ პროფესიული გადამზადების კურსების დაკავშირებას ფინანსურ მხარდაჭერასთან (მცირე გრანტები, დაბალპროცენტიანი სესხები, ტექნიკური დახმარება), რათა მიღებული ცოდნა რეალურ შემოსავლად იქცეს;
- ⇨ დასაქმების ინიციატივების მორგებას ადგილობრივ კონტექსტზე. მცირე მიწის მქონე სოფლებში მეფუტკრეობის, საოჯახო მეურნეობის, საკვები პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების განვითარებას;
- ⇨ ტრანსპორტირების დაფინანსებას პროფესიულ კოლეჯებსა და სამუშაო ადგილებში მოსახვედრად, რაც ხშირ შემთხვევაში ბარიერს ქმნის ქალებისთვის;
- ⇨ დაბალპროცენტიანი სესხებისა და საგადასახადო შეღავათების დანერგვას რეგიონებში მეწარმე და თვითდასაქმებული ქალებისთვის.

ზრუნვის, სოციალური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა

კვლევამ აჩვენა, რომ მიგრაციის შემცირებისთვის აუცილებელია ზრუნვის ტვირთის შემსუბუქება და სოციალური სერვისების განვითარება. რესპონდენტების დაახლოებით მესამედი მიუთითებს ბავშვზე ზრუნვის სერვისებზე (24.4%), ფსიქოსოციალურ და იურიდიულ დახმარებაზე (24.0%), ასევე ადგილობრივი თვითმმართველობებისგან რეალურ მხარდაჭერაზე (25.4%). ქალები ხაზს უსვამენ:

- ⇨ ბავშვზე ზრუნვის სერვისების განვითარების საჭიროებას, მათ შორის საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობას და სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების მომსახურებას;

- ფსიქოლოგიური დახმარების სისტემური განვითარების საჭიროებას, მათ შორის მობილური გუნდების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფენ მომსახურებას სოფლებში და მიუწვდომელ თემებში;
- ძალადობისგან დაცვის მექანიზმების გაფართოებას, განსაკუთრებით - რეგიონებში თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების ხელმისაწვდომობის მიმართულებით;
- საცხოვრებლის უზრუნველყოფას ძალადობისგან გაქცეული, განქორწინებული და სოციალურად დაუცველი ქალებისთვის, რათა მიგრაცია აღარ დარჩეს ერთადერთ გამოსავლად.

ინფორმაცია და ცნობიერების ამაღლება

მიგრაციის რისკებზე თემში ინფორმაციის გავრცელება და ცნობიერების ამაღლება მნიშვნელოვან პრევენციულ სტრატეგიად რჩება. კვლევის შედეგად გამოიკვეთა საჭიროება:

- მიგრაციის რომანტიზებული აღქმის შემცირებისთვის, რაც მოითხოვს თემში რეალური ისტორიების გაზიარებას, საჯარო დისკუსიებს, საინფორმაციო კამპანიებს და ცნობიერების ამაღლებას მიგრაციასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე - შრომით ექსპლუატაციაზე, სამართლებრივ დაუცველობაზე, შვილებთან და ოჯახთან ურთიერთობის გაწყვეტის რისკზე;
- ახალგაზრდებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას, რომლებიც ხელს შეუწყობს ემპათიისა და პასუხისმგებლობის განვითარებას მშობლის ემიგრაციის მიზეზებისა და სირთულეების მიმართ და დაეხმარება გააცნობიერონ, რომ მშობლის შრომა ემიგრაციაში არ უნდა იქცეს მისი ექსპლუატაციის წყაროდ, არამედ დარჩეს დროებით, იძულებით სტრატეგიად ოჯახური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

ქცევითი რისკების პრევენცია

კვლევამ ცხადყო, რომ მიგრაციის შედეგად თემებში იზრდება ქცევითი რისკები, მათ შორის აზარტული თამაშების, ალკოჰოლიზმისა და ნარკოტიკების გავრცელება. პრევენციისთვის აუცილებელია:

- მობილური ფსიქოსოციალური სერვისების განვითარება თემებში, ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის და თემის მენტორის ჩართულობით;
- სკოლებსა და თემში ქცევითი რისკების პრევენციული ტრენინგები და ცნობიერების ამაღლება მშობლებისა და პედაგოგებისთვის, რათა შეძლონ ბავშვების ქცევაში ცვლილებების ადრეული ამოცნობა.

სახელმწიფოსა და ადგილობრივი ხელისუფლების როლი

როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევა მიუთითებს სახელმწიფოს მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებაზე. რესპონდენტები აცხადებენ:

- ⇨ არსებული პროგრამები ფრაგმენტულია, მოკლებულია გრძელვადიან ხედვას და ვერ პასუხობს რეალურ საჭიროებებს;
- ⇨ მიგრაციის შემცირება მოითხოვს სტრუქტურულ და სისტემურ ცვლილებებს, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას, სოციალური უსაფრთხოების რეფორმას და ოჯახებისთვის კომპლექსურ მხარდაჭერას;
- ⇨ ერთჯერადი დახმარებები ვერ ცვლის სისტემურ პრობლემებს და აუცილებელია ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კოორდინირებული პოლიტიკა.

დასკვნა

ქალთა მიგრაციის შემცირება შესაძლებელია მხოლოდ სისტემური, გენდერულად სენსიტიური და ინტეგრირებული პოლიტიკებით, რომლებიც შექმნის ღირსეულ დასაქმებას, ზრუნვის მხარდამჭერ სისტემას, უსაფრთხო საცხოვრებლის უზრუნველყოფას და ქცევითი რისკების პრევენციას, პარალელურად კი დაამკვიდრებს მიგრაციის არარომანტიზებულ, რეალისტურ აღქმას საზოგადოებაში.

ანგარიშზე მუშაობდა საქველმოქმედო ჰუმანიტარული
ქალთა ფონდი „სოხუმის“ თბილისის წარმომადგენლობა:
ეკატერინე გამახარია

მონაცემების შეგროვებაზე მუშაობდნენ:
ემა კამკია, თეა გოლეთიანი, გურანდა გვანცელაძე

რედაქტორი
ლალი შენგელია

დამკაბადონებელი
ლია კოსტავა

მისამართები:
ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. #29 ბ, საოფისე ფართი #2
ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6

ელფოსტა: fundsukhumitbilisi@gmail.com
womansukhumi@gmail.com
ვებგვერდი: www.fsokhumi.ge
ფეისბუქგვერდები: www.facebook.com/fsokhumi/
https://www.facebook.com/WFSTbilisiOffice